ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
F B Y I F B Y B
* კფჰბ
@*ვფჰნბლფყ





[esif,fsb7 !@ fghbkb7 @)!@ 187 (5777) afcb5 #) stshb


# სააკაშვილს ის დიპლომატი მიუგზავნეს, რომელიც მუბარაქის გადაყენებაზე მუშაობდა

გვ.3



## რა დაგეგმეს სააკაშვილმა და ნაციონალებმა დახურულ შეხვედრაზე

გვ.2



## რატომ არ აწყობს ქართულ ოცნებას" ერთიანი ოპოზიციური ფრონტი

გვ.5

## გოგა ხაინდრავა: ხელისუფლებამ შეიძლება არჩევნები ჩაშალოს

გვ.5



## გოგი თოფაძე მეოცნებე ოფიციალურად გახდა

გვ.2

ვინ გადაარჩენს მრეწველობას





## პუტინი ოსებსა და აფხაზებს აქეზებს

გვ.7

## კახაბერ ვარდუკაძე ქართუ ბანკის" თანამშრომლებს 27 კილო ოქროს მოპარვაში ადანაშაულებს

გვ.2



## სულხან-საბა ორბელიანს საქართველოში გადმოასვენებენ

გვ.6

გვ.3



## ნაციონალმა დეპუტატმა კოხოძემ საირმელებს ქონება წაართვა?!

## კობა ხაბაზი: სააკაშვილს ივანიშვილისთვის მოქალაქეობა არ ჩამოურთმევია"

გვ.4



ISSN 1987-9385

**6** სოცდეკები ივანიშვილის ირგვლივ დარაზმვას ყველა პარტიას ურჩევენ

**7** რუსთაველზე სახლი შეგნებულად დაწვეს?

**5** კონსტიტუციის 42-ე მუხლი პრეზიდენტს მიმართავს

**2** ნოდარ ჯავახიშვილი კახაბერ ვარდუკაძეს სასამართლოსთვის მიმართვას ურჩევს

# რა დაგეგმეს სააკაშვილმა და ნაციონალებმა დახურულ შეხვედრაზე

თეა მარხვაიძე

**ნაციონალების პოლიტიკური დაისი ახლოვდება. ამას მმართველ გუნდშიც კარგად გრძნობენ და თავის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ. ოპოზიციის მტკიცებით ისინი ყველაფერზე არიან წამსვლელები. ზოგი იმასაც ამტკიცებს, დედაბუდიანად ჩვენს ბანაკში გადმოვლენო. საკითხავი ახლა ისაა, თუ დედაბუდიანად ოპოზიციაში გადმოვლენ, რა საჭიროა ხელისუფლების შეცვლა. სახელი გადაირქვან და ეგ იქნება.**



თუმცა მთლად ასე არ არის საქმე. ნაციონალები იმის ჩიტები არ არიან, ასე უცბად დათმონ ყველაფერი. იდეები და ხერხის მოგონება მათი ცხოვრების წესია. ხერხი კი, ქართული ანდაზისა არ იყოს, ბევრად სჯობია ღონესა. ამათ კი ხერხის გარდა ძალაც აქვთ.

მჯობნის მჯობნი კი არ ილევა და თუ რამე არ ილონეს, მალე დამარცხდებიან. სავარაუდოდ, სწორედ იდეების დასაფრქვევად შეიკრიბნენ გუშინ პრეზიდენტთან უმრავლესობის წევრები.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ეს შეხვედრა დაანონსებული არ ყოფილა. ასე ნაუცბათევად პრეზიდენტი უმრავლესობას მაშინ შეხვდა, ბეჟან ხურციძე უმრავლესობიდან რომ გარიცხეს. როგორც ოპოზიცია ამბობს, მაშინ სააკაშვილმა ნაცმოძის წევრები სულ უშვერი სიტყვით აგინა.

გუშინ ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ საიდუმლო შეხვედრა ივანიშვილს უკავშირდებოდა. მმართველი გუნდი კი იფიცებოდა, სოფლის მეურნეობაზე ვისაუბრეთო. ქართული ოცნება კი ამტკიცებს, ივანიშვილის წინააღმდეგ ხლართავდნენ რაღაცასო.

– ივანიშვილს, ისევე როგორც ყველა სხვა პოლიტიკოსს, ექნება არჩევნებში მონაწილეობის საშუალება და ეს თემა ჩვენთვის დახურულია, – ამის შესახებ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი გაბაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობისა და პრეზიდენტის შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს ყველა ის საარჩევნო უფლება ექნება, რაც ყველა მოქმედ პოლიტიკოსს აქვს საქართველოში.

– ამ თემას პოლიტიკური კონტექსტი ადრე ჰქონდა, როცა ივანიშვილის მოქალქეობას ეხებოდა საქმე. სამართლებრივი საკითხი ცალკე უნდა განვიხილოთ. მოკლედ, პოლიტიკური საკითხი ამოიწურა, ივანიშვილს აქვს სრული უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში", – განაცხადა გაბაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკოსს და მათ შორის ბიძინა ივანიშვილს, შეუძლია კანონის ფარგლებში ნებისმიერი ქმედება განახორციელოს.

– ის იქნება პოლიტიკური პარტიის ლიდერი. თუ რაიმე აქვს სათქმელი ქართველი ამომრჩევლისთვის, ეტყვის და არანაირი შეზღუდვა მას არ ექნება, – განაცხადა გაბაშვილმა.

ოპოზიცია იმასაც ამტკიცებდა, შეხვედრაზე არჩევნების თემას შეეხნენ და რაღაც მავნებლობები დაგეგმესო. ამ ხმების გამავრცელებლებს პავლე კუბლაშვილმა გადაუწურა წყალი.

– პრეზიდენტისა და უმრავლესობის შეხვედრაზე საარჩევნო საკითხები არ განხილულა,. – განაცხადა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, პავლე კუბლაშვილმა.

მისი თქმით, შეხვედრის ძირითადი განსახილველი საკითხები ჯანდაცვა და სოციალური დაცვა იყო, ასევე საუბარი შეეხო ინფრასტრუქტრულ პროექტებს.

– ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ჯანდაცვის მიმართულებით, საავადმყოფოების მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის რაც კეთდება ჩვენი მოსახლეობის დაზღვევის კუთხით, იმიტომ, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა რომ ხელმისაწვდომი იყოს ეს სერვისი, – განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

დეპუტატის თქმით, მნიშვნელოვანია პენსიონერების დაზღვევის საკითხიც, რომელიც აქტიურად განიხილებოდა დღევანდელ სხდომაზე. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, მთავარი განსახილველი საკითხი იყო ასევე სოფლის მეურნეობის სფერო და ის მხარდაჭერა, რაც ექნება სოფელს ახალი ტექნიკის თვალსაზრისით.

გაბაშვილმა Hჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეხვედრაზე საუბარი იყო ყველა მიმდინარე პროექტებზე. მისი თქმით, დეტალურად განიხილეს ასევე ჯანდაცვის პროექტები, წელს ყველა პენსიონერი იქნება დაზღვეული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, საირიგაციო და სამელიორაციო სისტემებს.

# გოგი თოფაძე მეოცნებე ოფიციალურად გახდა

## ვინ გადაარჩენს მრეწველობას

თეა მარხვაიძე

**გუშინ „ქართულ ოცნებაში" მატების დღე იყო. კოალიციის მრავალრიცხოვან არმიას კიდევ ერთი წევრი შეემატა. მრეწველობით საქართველოს გადარჩენის მოსურნე გოგი თოფაძე კოალიციაში ოფიციალურად გაწევრიანდა.**



თოფაძის და ივანიშვილის გზები, რომ გადაიკვეთა, ეს რამდენიმე კვირაა ვიცით. ამდენად, დათოფილი ოცნება არავის გაჰკვირვებია. ამ მატების შემდეგ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია თქვას, რომ შეიარაღებულია.

ცუდად არ გაიგოთ, მაგრამ როცა კოალიციაში თოფაძე და ხმალაძე გყავს უიარაღოს ვერავინ გაკადრებს.

გოგი თოფაძემ კოალიცია „ქართულ ოცნებაში" გაწევრიანების თაობაზე ოფიციალური განცხადება გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთა.

როგორც თოფაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, კვირას კიდევ ერთხელ შეხვდა „ქართული ოცნების" ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს და გუშინვე მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება.

თოფაძის თქმით, ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლისთანავე გამოთქვა მზაობა მის გვერდში ყოფნისა და თუკი გადაწყვეტილება დღემდე არ იყო მიღებული, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ჭოჭმანობდა.

– მე ბიზნესმენი ვარ და თქვენ კარგად იცით, რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მსგავს სიტუაციაში ბიზნესი. ამიტომ გავმართე კონსულტაციები ჩემს თანამშრომლებთან, გუნდის წევრებთან, რეგიონულ წარმომადგენლებთან და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კონსენსუსის საფუძველზე, – განაცხადა აწი უკვე მეოცნებე მრეწველმა.

გოგი თოფაძის განცხადებით, შესაძლოა, კოალიციაში იყოს განსხვავებული მოსაზრებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მთავარი ამოცანა – არსებული რეჟიმის შეცვლა, ყველას აერთიანებს, რის გამოც ის ბევრ რამეზე თვალს დახუჭავს.

ამასთან, თოფაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინააღმდეგია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის და ამ საკითხის გამწვავებასაც შეეცდება. როგორც „მრეწველების" ლიდერმა განაცხადა, მისთვის მიუღებელია, რომ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები იღუპებიან.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მეოცნებეებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. განსხვავებული მოსაზრებებია ნინო ბურჯანაძის გარშემოც. თოფაძის ივანიშვილის და ბურჯანაძის დამეგობრებას ცდილობს. სხვები კი ამის წინააღმდეგი არიან.

როგორც ამბობენ, თოფაძის ოცნებაში შესვლას რესპუბლიკელები სერიოზულად ეწინააღმდეგებოდნენ. თუმცა ის მაინც შევიდა. ახლა ამბობენ, რომ მათ შორის დიდი დაპირისპირებაა.

ეს ინფორმაცია გუშინ კატეგორიულად უარყო თინა ხიდაშელმა. მისი თქმით, არავითარი დაპირისპირება გოგი თოფაძესთან არ არის.

# კახაბერ ვარდუკაძე ქართუ ბანკის" თანამშრომლებს 27 კილო ოქროს მოპარვაში ადანაშაულებს



მოქალაქე კახაბერ ვარდუკაძე „ქართუ ბანკის" თანამშრომლებს 27 კილო ოქროს მოპარვაში ადანაშაულებს. ამის შესახებ ვარდუკაძემ გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, 2002 წელს მის სალომბარდო ოფისსა და „ქართუ ბანკს" შორის გირავნობის ხელშეკრულობა გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, მას ბანკში ოქრო შეჰქონდა და სანაცვლოდ თანხას იღებდა. 2003 წელს ბანკში შეტანილი ოქრო დაიკარგა და სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებამ კახაბერ ვარდუკაძე დაზარალებულად ცნო, თუმცა, საქმის წარმოება შეწყდა. ვარდუკაძის განცხადებით, მან განმეორებითი სარჩელი 2005 წელს შეიტანა და ის ისევ დაზარალებულად ცნეს.

მისივე განცხადებით, უზენაეს სასამართლოში დავა 2008 წლის 13 ივნისს დასრულდა და „ქართუ ბანკს" ვარდუკაძის სასარგებლოდ, 266 585 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

თუმცა, როგორც ვარდუკაძე აღნიშნავს, გადაწყვეტილების აღსრულებამდე ორი დღით ადრე, ბანკის პასუხისმგებელმა პირებმა ირაკლი მიქაბერიძემ და გიორგი ფურცხვანიძემ ცრუ ჩვენება მისცეს, თითქოს, ვარდუკაძის თანამონაწილეობით მის მიერ ბანკში შეტანილი 27 კილო ოქრო მიითვისეს, ოქროს 60% მათ აიღეს, ხოლო 40% ვარდუკაძეს დაუბრუნეს.

ვარდუკაძის ინფორმაციით, ეს პირები გაასამართლეს და საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ გაათავისუფლეს, მას კი, ფიზიკური და სიტყვიერი ზეწოლის შედეგად, ცრუ აღიარებითი ჩვენების მიცემა და მოგებულ თანხაზე უარის თქმა აიძულეს.

„ჩემს მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ მიქაბერიძე, ხიზანიშვილი და მათიკაშვილი" – განაცხადა მან.

ვარდუკაძის განცხადებით, მან არაერთხელ სცადა ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა, მაგრამ უშედეგოდ.

„ვიმედოვნებ ივანიშვილი „ქართუ ბანკში" მომუშავე დამნაშავეებს გაემიჯნება და მათ ჩემდამი ჩადენილი დანაშაულის აღიარებისკენ მოუწოდებს"– განაცხადა ვარდუკაძემ და ასევე, მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს ხელახალი გამოძიება დაიწყონ.

**ნიუსპრესი**

# ნოდარ ჯავახიშვილი კახაბერ ვარდუკაძეს სასამართლოსთვის მიმართვას ურჩევს



„ბანკი ქართუს" გენერალური დირექტორი ნოდარ ჯავახიშვილი მოქალაქე კახაბერ ვარდუკაძეს ურჩევს სასამართლოს მიმართოს.

ერთ-ერთი ლომბარდის მფლობელი კახაბერ ვარდუკაძე „ქართუ ბანკის" თანამშრომლებს 27 კილო ოქროს მოპარვაში ადანაშაულებს.

„ვარდუკაძის მხრიდან ბანკის მიმართ გაკეთებულ ბრალდებებზე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს – იხილეთ უზენაესი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მე მის გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი. ეს საქმე 2002 წლიდან მოდის. როგორც ვიცი, ამ საკითხზე ვარდუკაძე ციხეშიც იჯდა. რატომ წამოწია 10 წლის წინანდელი საკითხი ახლა ალბათ მარტივი მისახვედრია" – განაცხადა ჯავახიშვილმა „ნიუსპრესთან" საუბრისას.

ამასთან, ჯავახიშვილი განმარტავს, რომ იგი პირადად შეხვდა კახაბერ ვარდუკაძეს.

„ვურჩიე ისევ სასამართლოსთვის მიემართა. მან სწორ გზაზე დაყენებისთვის მადლობა გადამიხადა და მითხრა ისევ სასამართლოს მივმართავო. თუმცა, სასამართლოში რომ არ მიესვლება ფაქტია". – განაცხადა ჯავახიშვილმა.

**ნიუსპრესი**

## ქრთამის აღების ბრალდებით დედოფლისწყაროს გამგეობის თანამშრომელი დააკავეს

დედოფლისწყაროს გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სპეციალისტი ქონებისა და მიწის მართვის საკითხებში ნოდარ ზუბიაშვილი სამართალდამცველებმა დააკავეს, – იუწყება ინტერნეტგამოცემა „ქიზიყი".

როგორც თვითმხილველებმა „ქიზიყს" განუცხადეს, გამგეობის თანამშრომლის აყვანა საჯარო რეესტრის რაიონული ფილიალის ოფისთან მოხდა, სადაც ზუბიაშვილი იმყოფებოდა.

ერთ-ერთი ვერსიით, ნოდარ ზუბიაშვილს ქრთამის აღება ედება ბრალად.

მიწისა და ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ბალაშვილი აცხადებს, რომ მისი თანამშრომელი უკვე რამდენიმე საათია სამსახურში აღარ იმყოფება, თუმცა მისი დაკავების თაობაზე მან არაფერი იცის.

მომხდარზე შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში კომენტარს არ აკეთებენ.

**მედიანიუსი**

## აფხაზ გოგონას გულის ოპერაციას გაუკეთებენ

თბილისში, ჯო ენის სამედიცინო ცენტრში აფხაზ გოგონას გულის ოპერაციას გაუკეთებენ. იანა იანშბას გულის მანკი აქვს. ბავშვს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება. იანა იანშბა, ოჯახთან ერთად ტყვარჩელიდან რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩამოვიდა. საქართველოს ხელისუფლებამ მოზარდს ოპერაციის ხარჯები სრულად დაუფარა.

პაციენტი დღეს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელმა გია ბარამიამ მოინახულა და მას საჩუქრებიც გადასცა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ

უფპტსბ
უფვჯლუც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ

რჯყცკნფყტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ბბფყბ
ცფაბყფყცჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ

ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰწტკტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ

ლფრფ,ფლჯყტ,ფ 2 ბყუფ ლდფკბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრბ7 ვპბფ მჯმფიდბკბ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
ჰტლფმწნფვბ იტვჯცჱკბ ვფცფკტ,ბ ფჰ ჰტწტყბპბჰლტ,ფ ლფ
ფდნჯჰტ,ც ფჰ ე,ჰეყლტ,ფ8 ჰტლფმწნბც სფყვჯ,ბც უფჰტრტ
უფპტსბნ ლფ,ტწლბკბ ვფცფკტ,ბც7 ცჱჰფსტ,ბც ლფ ცფჰტრკფვჯ
უფყწფლტ,ტ,ბც ცჰეკბ ფყ ყფობკჯ,ჰბდბ უფვჯ·ტყტ,ფ
ფრჰფკჱკბფ8 ცნფნფვბ უფვჯმდტ·ყტ,ეკბ ვფცფკტ,ბც ცბპეცნტპტ
გფცჱც ფუტ,ც ფდნჯჰბ8 ცფფდნჯჰჯ ეკტ,ტ,ბ ლფწეკბფ8

# სააკაშვილს ის დიპლომატი მიუგზავნეს, რომელიც მუბარაქის გადაყენებაზე მუშაობდა

## ბიძინა ივანიშვილი მოსალოდნელი სახელისუფლებო კრიზისის დაძლევაზე მუშაობს





შალვა ჯოხაძე

გუშინ ბიძინა ივანიშვილმა უმასპინძლა ადამიანს, ფრენკ ვიზნერს, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას დავალებით ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქთან მისი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მოკლედ, ფრენკ ვიზნერი სერიოზული დამრტყმელი ძალა გახლავთ და „ქართული ოცნების" გათვლა აშკარაა. ამბობენ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრის სახელდახელოდ ჩატარებაც სწორედ ფრენკ ვიზნერის ვიზიტს უკავშირდებოდა. ალბათ, სააკაშვილს ვიზნერის გვარის გაგონებაზე გააჟრჟოლა და თანაგუნდელებთან ერთად სპეციალური გეგმები დასახა.

ცნობისათვის, ვიზნერი სხვადასხვა დროს იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ეგვიპტესა და გაერო-ში. ამერიკიდან სპეციალური მისიებით იმყოფებოდა კოსოვოში, იუგოსლავიაში და კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე მუშაობდა. მის ბიოგრაფიაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი საინტერესო თარიღი 2011 წლის 31 იანვარი გახლდათ, როცა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ის ეგვიპტეში ჰოსნი მუბარაქთან ძალადობის შეწყვეტისა და გადადგომის შესახებ მოლაპარაკებების საწარმოებლად გაგზავნა.

– ვიზნერის ეგვიპტეში გამგზავრება აშშ-ის მხრიდან პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქზე ზეწოლის გაძლიერებითაა გამოწვეული, რათა იგი მრავალათასიანი საპროტესტო აქციების პოლიტიკურ გადაწყვეტაში დაარწმუნოს, – წერდა მაშინ დასავლური მედია.

ვიზნერმა და ივანიშვილმა საათნახევრიანი მოლაპარაკებების მერე მედიისათვის კომენტარები გააკეთეს. ვიზნერმა აღნიშნა, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დღევანდელი რეალობის შესახებ კარგი ინფორმაცია მიიღო.

– საქართველოში ყოფნა დიდი სიამოვნებაა. ველოდები, რომ გვექნება თანამშრომლობისა და ერთად მუშაობის საშუალება. ძალიან დაინტერესებული ვარ საქართველოს დემოკრატიის მომავლით. ბოლო 20 წლის განმავლობაში თვალს ვადევნებდი თქვენს ისტორიას ისე მჭიდროდ, როგორც ამერიკელებს შეუძლიათ ამის გაკეთება. მჯერა იმ კურსის, რომელიც აირჩიეთ ძლიერი დემოკრატიისთვის, ისეთი დემოკრატიისთვის, რომელიც იქნება რეგიონში მშვიდობის გამავრცელებელი. ეს ჰარმონიაშია ევროატლანტიკური საზოგადოების და ჩემი ქვეყნის ფუნდამენტურ ღირებულებებთან. ამასთან დაკავშირებით, მე ღრმად ვრჩები ჩართული კერძო სექტორში და მთავრობაში, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული სიამოვნებაა, შევხვდე დღეს ბატონ ივანიშვილს. ყველა თქვენგანს გისურვებთ, მომდევნო რამდენიმე წელიწადში იპოვოთ თქვენი დემოკრატია, შექმნათ ინსტიტუტები, რომლებიც გამძლე ღირებულებებზე იქნება დამყარებული, – აღნიშნა ფრენკ ვიზნერმა.

ვიზნერს ჟურნალისტებმა შეკითხვა დაუსვეს, ხომ არ შეიცავს რაიმე მესიჯს მისი სტუმრობა საქართველოში, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქთან გადადგომის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

ფრენკ ვიზნერმა აღნიშნა, რომ ორ ძალიან განსხვავებულ სახელმწიფოს შორის რაიმე ზუსტ პარალელებს არ გაავლებს.

– საქართველომ დაიწყო დემოკრატიის პროცესი. ახლა ჩვენ ყველას გვინდა, ვნახოთ რეალური, ღრმა დემოკრატია, რომელშიც ჩართული იქნება ყველა ქართველი, ხელისუფლება და ოპოზიცია. საქართველოს ამის გაკეთების გამოცდილება აქვს. საქართველოს მთელ მსოფლიოში ჰყავს მეგობრები და პარტნიორები. ახლო აღმოსავლეთი კი ძალიან განსხვავებული გარემოა. ამდენად, უხერხულია რაიმე პარალელების გავლება. თქვენ უნდა გადახედოთ თქვენს გამოცდილებას, ისტორიას, მომავალს და ისე შეასრულოთ სამუშაო, რომელიც მნიშვნელოვანია თითოეული ქართველისთვის და ყველა ჩვენგანისთვის, ვინც ამ ქვეყანაზე ზრუნავს, – აღნიშნა ფრენკ ვიზნერმა.

ფრენკ ვიზნერთან შეხვედრა შეაფასა ბიძინა ივანიშვილმაც.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– ჩვენ ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა. მე გაოცებული ვარ მისი ცოდნით საქართველოს შესახებ, მან ჩვენი კონსტიტუციაც კი გაცილებით უკეთ იცის, ვიდრე ჩვენმა ბევრმა პოლიტიკოსმა. ის ძალიან კარგად აცნობიერებს იმ ცვლილებებსაც, რომელიც განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში ჩვენს კონსტიტუციაში. მან ძალიან რთული კითხვებიც დამისვა. ვიმსჯელეთ იმაზეც, რომ 2012-სა და 2013 წელს შორის როგორი სახელისუფლებო კრიზისი გველოდება ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში.

იმიტომ გავამახვილე ყურადღება საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომ ეს ერთ-ერთი რთული საკითხია დღეს, დღევანდელი პოლიტიკოსებისათვის და ამ საკითხშიც ბატონი ვიზნერი ძალიან კარგად არის გაცნობიერებული. მე აღარ გავაკეთებ აქცენტს იმ საკითხებზე, რომელიც მსოფლიოში უკვე ყველამ იცის, თუ რა უკანონობა განახორციელა ჩვენი პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ და დღესაც აგრძელებს.

გვქონდა საუკეთესო საუბარი, მივიღე ძალიან საინტერესო რჩევებიც, თუ როგორ გავაგრძელოთ მუშაობა ასეთივე სტილში მომავალი არჩევნებისათვის, რათა მივიღოთ რეალურად დემოკრატიული არჩევნები შემოდგომაზე.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება მისთვის მოქალაქეობის არმიცემის ფაქტზე და იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელიც თითქოსდა მისი დახმარების მიზნით წამოიწყეს.

– ხელისუფლებამ კონსტიტუციაში უამრავი ცვლილება შეიტანა. ბევრი კანონი შეცვალეს იმის შემდგომ, რაც მე პოლიტიკაში მოვედი და მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, პატივს ვცემ ჩემს ქვეყანას, ვრჩები კანონიერ სივრცეში და ასე ვაპირებ მომავალშიც გავაგრძელო. აბსოლუტურად ალოგიკური კანონები შემოიღეს. თუმცა, მეც და ჩემი გუნდიც ბოლომდე ვემორჩილებით კანონებს და ასე გავაგრძელებთ მომავალშიც. ამ შემთხვევაშიც ასეთი პოზიცია გვექნება, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის შეფასებით, სააკაშვილი კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას ისევ აგრძელებს.

– იმის ნაცვლად, რომ მას კანონი დაეცვა თავის დროზე, აბსოლუტურად უკანონოდ ჩამომართვა მოქალაქეობა. ჩვენ მეორედ მივეცით მას საშუალება, რომ შეენარჩუნებინა სახე და აღედგინა ჩემი მოქალაქეობა კანონიერად. მან ეს ვერ მოახერხა და ნახა საკმაოდ იოლი გზა, რასაც ის ახერხებს რამდენიმე წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, რომ გადააკეთოს კონსტიტუცია, რაც ყველაზე იოლი საკითხია. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში იმდენად უხეში და გაუგებარია ეს ცვლილებები, რომლის განხორციელებასაც ისინი აპირებენ, ალბათ, თვითონვე მიხვდებიან მოგვიანებით და შეჩერდებიან, – აღნიშნა ივანიშვილმა.

---

# ნაციონალმა დეპუტატმა კოხოძემ საირმელებს ქონება წაართვა?!

## ვინ ჩუქნის უკანასკნელ სახლ-კარს სახელმწიფოს

შალვა ჯოხაძე

ირკვევა, რომ მთელ საქართველოში, განსაკუთრებით ტურისტულ ზონებში მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ მიწებისა და უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტები ძალიან გახშირდა. მოკლედ, ძვირად ღირებული ქონების ჩუქება-მიტოვების მრავალი ფაქტი არსებობს. თუმცა, რომელი ჭკუათმყოფელი გააჩუქებს საკუთარ ქონებას სრულიად უცხო ადამიანზე, განსაკუთრებით კი პარლამენტის დეპუტატზე? დეპუტატებს იმხელა შემოსავალი აქვთ, აქეთ უნდა გააჩუქონ რაღაც-რაღაცები, თუმცა არა, მათ საჩუქრების მიღება უფრო ჰყავარებიათ. რა არ ხდება საქართველოში!

– მაგალითად, კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე 2011 წლის 13-25 იანვარს დაფიქსირებულია კერძო პირების მიერ უძრავი ქონების მიტოვების 79 ფაქტი. კურორტ საირმეში 2010 წლის 13-23 დეკემბრს მეწარმე პირების მიერ სახელმწიფოსათვის უძრავი ქონების ჩუქების 20 ფაქტი, – აცხადებენ ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს", „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", „საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაციისა" და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლები. მათ ეს ყველაფერი დაადგინეს პროექტის „საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" ფარგლებში და მოამზადეს მესამე ანგარიში – „საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში".

არასამთავრობოები აცხადებენ, რომ 2011 წლის განმავლობაში მედიასაშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მესაკუთრეთა მიერ ქონების მიტოვებისა და სახელმწიფოსთვის ჩუქების შესახებ და გამოითქმებოდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ჩუქებისა და მიტოვების წინაპირობას მოქალაქეთა იძულება წარმოადგენდა.

პირები, რომლებმაც ქონება სახელმწიფოს აჩუქეს ან მიატოვეს, როგორც წესი, მედიასთან ურთიერთობას თავს არიდებენ და არც სამართალდამცავ სტრუქტურებს მიმართავენ. თუმცა,




ჩუქების ან მიტოვების მასობრივი ფაქტების დოკუმენტურად დადასტურება საჯარო რეესტრის მონაცემთა საშუალებით ადვილია. როგორც წესი, ქონების ჩუქებისა და მიტოვების შემთხვევები არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ დროშიც ემთხვევა ერთმანეთს – ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ერთდროულად რამდენიმე ათეულმა მოქალაქემ გააჩუქა ან მიატოვა ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ. უმრავლესობა ფიზიკური პირია, რომელსაც, გარდა სახელმწიფოსთვის გაჩუქებული/მიტოვებული ქონებისა, სხვა უძრავი ქონება არ გააჩნია.

საია-ს იურისტის, კახა კოჟორიძის ინფორმაციით, 2010 წლის 13-დან 23 დეკემბერის ჩათვლით საირმეში სახელმწიფოსათვის ქონების ჩუქების ოცი და უძრავი ქონების მიტოვების ორი შემთხვევა დაფიქსირდა. გარდა ჩუქებით მიღებული მიწის ნაკვეთებისა, სახელმწიფომ საჯარო რეესტრისათვის მიმართვის გზით საკუთრებაში დაირეგისტრირა კურორტ საირმეში მდებარე არაერთი მიწის ნაკვეთი. მიწების უმრავლესობა შპს „საირმის განვითარების კომპანიას" გადაეცა, რომლის 100%-იანი წილის მესაკუთრეა თემურ კოხოძე – საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი.

2010 წლის 10 მაისიდან 2011 წლის 21 იანვრამდე პერიოდში სახელმწიფომ საჯარო რეესტრისათვის მიმართვის გზით საკუთრებაში დაირეგისტრირა კურორტ საირმეში მდებარე მიწის ნაკვეთები, რომელიც შემდგომში საკუთრებაში გადასცა შპს „კურორტ საირმეს". გარდა ამ გზით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისა, 2010 წლის 13 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეებისგან ჩუქებით მიიღო 25,137 კვ.მ მიწის ნაკვეთები, რომელიც მოგვიანებით შპს „კურორტ საირმეს" დაურეგისტრირა საკუთრებაში. გამჩუქებელთა უმრავლესობა, არსებული მონაცემებით, მეწარმეები იყვნენ.

კოჟორიძის თქმით, ადგილობრივმა მოსახლეობამ მედიას მიმართა განცხადებით, რომელშიც მითითებული იყო, რომ საირმეში მცხოვრები მიწისა და ქონების მესაკუთრენი პროკურატურაში გამოიძახეს და ეკონომიკის სამინისტროს სპეციალისტის მოთხოვნით ხელშეკრულებები მიწის უსასყიდლოდ დათმობის თაობაზე იძულებითი წესით გააფორმებინეს.

კოჟორიძე აცხადებს, რომ 2011 წლის 18 თებერვლამდე შპს „კურორტი საირმე"-ს 100%-იანი წილის მესაკუთრე იყო სახელმწიფო. 2011 წლის 18 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად შპს „კურორტი საირმე" საკუთრებაში გადაეცა შპს „საირმის განვითარების კომპანია"-ს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „საირმის განვითარების კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრე არის თემურ კოხოძე – საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი.

– თემურ კოხოძე უარყოფს რაიმე სახის კანონდარღვევას და მესაკუთრეთა იძულებას, დაზარალებული მოსახლეობა კი საკუთარი ქონების სახელმწიფოსათვის ჩუქების თემაზე საუბარს გაურბის. თუმცა, ისევე, როგორც ბახმაროში, საირმეს შემთხვევაშიც ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ადგილას, ერთდროულად რამდენიმე ათეული ადამიანის მიერ მნიშვნელოვანი მატერიალური ღირებულების მქონე ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქება, უცნაურად გვეჩვენება, – აცხადებს კახა კოჟორიძე.

კოჟორიძის თქმით, ამ შემთხვევების გაცნობის შემდეგ ჩნდება ეჭვი, რომ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სახელმწიფოსათვის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# კობა ხაბაზი: სააკაშვილს ივანიშვილისთვის მოქალაქეობა არ ჩამოურთმევია“

ქეთი ხომერიკი

**„ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია და საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ივანიშვილს არ უნდა საქართველოს მოქალაქეობის მიღება, მისი ნაბიჯები მხოლოდ პიარს ემსახურება და წამებულის მანტიის მოსხმას ცდილობს“, — აცხადებს ხაბაზი. „ახალ თაობას“ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი კობა ხაბაზი ესაუბრა.**

**კობა ხაბაზი:**

— არავითარ უკანონობაზე არ არის ლაპარაკი, ნაცვლად იმისა, აღიარონ, რომ დაუშვეს შეცდომა, აირჩიეს არასწორი გზა, რასაც ჰქვია ნატურალიზაციის გზა, ისინი ამბობენ, რომ უკანონობას ჩავდივართ. არადა, კანონის ზედმიწევნით დაცვა მოხდა, რომ არ ყოფილიყო სალაპარაკო. რა არ იციან, რომ ნატურალიზაციის გზით შეუძლებელია მოქალაქეობის მიღება, როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქე ხარ? იმ შემთხვევაში, თუ ის მიმართავდა ორმაგი მოქალაქეობის მიღებაზე, ეს სხვა საკითხი იქნებოდა. მათ კიდევ აირჩიეს ნატურალიზაციის გზა და მე იმის თქმაც კი მიჭირს, რომ ეს უცოდინრობით მოუვიდათ, რადგან საკმაოდ კვალიფიციური იურისტები არიან.

***— კბილაშვილის თქმით, კანონში წერია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევაში პირს საქართველოს მოქალაქეობის უფლება აქვს, ივანიშვილმა კი, საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი თქვა...***

— ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია. რაც შემოიტანეს იურისტებმა, იმაზე შესაბამისი კვალიფიციური პასუხიც მიიღეს. ახლა გეტყვით მე, რა ეჭვიც მაქვს — ივანიშვილს საერთოდ არ უნდა საქართველოს მოქალაქეობის მიღება და მხოლოდ და მხოლოდ პიარს ემსახურება მისი ნაბიჯები, თორემ ვერავინ დამაჯერებს, რომ იურისტებმა არ იცოდნენ, რომ ამ გზით ვერ მიიღებდა მოქალაქეობას. უმარტივესი ფორმა შეეძლო აერჩია, მოეთხოვა ორმაგი მოქალაქეობა. მას კი არ უნდა ეს. მას უნდა, რომ წამებულის მანტია მოისხას, თავი გაიპიაროს და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვინაიდან იცის, რა რეიტინგი აქვს, მართალია, ბევრს გაჰყვირიან ენდიაის კვლევებს არ ვენდობითო, მაგრამ სინამდვილეში იციან, რა რეიტინგიც აქვთ, ამიტომ მგონი, არც უნდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

***— ივანიშვილს აქვს დაბალი რეიტინგი, თქვენ ახლა, ამას გულწრფელად ამბობთ?***

— თავიდან ჰქონდა მაღალი რეიტინგი, ახლა კი, არ აქვს, რადგან ყოველი მისი გამოსვლა გარკვეულწილად კურიოზულ მდგომარეობაში აგდებს თვითონვე მას და აქედან გამომდინარე, შეიძლება არც უნდოდეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ამიტომ ქდმ-ს ინიციატივა მართლაც, ყურადსაღებია, რათა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცეს მას. და მას ხომ მოქალაქეობა იმიტომ სჭირდებოდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიეღო ?!

***— ამიტომაც დაუკვეთეთ ქდმ-ს ამ ინიციატივის გახმაურება? ივანიშვილის გუნდი დარწმუნებულია, რომ ეს თქვენი იდეა იყო...***

— რას იტყვის ივანიშვილი და მისი გუნდი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რა უნდოდა მას — უნდოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ჰა, ბურთი და მოედანი, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, ჩვენ არ ვუკრძალავთ და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ არანაირი შიში არ გვაქვს, რადგან ზუსტად ვიცით, საქართველოს მოსახლეობა ხვდება და უტყუარი ალღო აქვს იმისა, რას მოუტანს ქვეყანას ივანიშვილის მოყვანა, ისევ ჩრდილოეთიდან, რომ ამოვა მზე საქართველოში. ძალიან კარგად ხედავს მოსახლეობა იმას, რა კეთდება ქვეყანაში და რა ტემპებით. ყველა ხედავს, რომ ქვეყანა წინ მიდის და, როდესაც გამოდიან და იძახიან ქვეყანა იღუპებაო, იტყუებიან, რადგან არ იღუპება.



***— უამრავი ადამიანი უმუშევარია, გაჭირვებულია და ა.შ. საინტერესოა, რას ეძახით თქვენ წინ სვლას?***

— აი, როცა ამბობენ, მილიონი ადამიანი სიღატაკის ზღვარზეა და ისინი სოციალურ შემწეობას, ან ჯანდაცვის პოლისებს ღებულობენო და თქვენს ხელში გაღარიბდნენო, ჩვენს ხელში კი არ გაღარიბდნენ, თუ იყო მილიონ ნახევარი მილიონზე ჩამოვიყვანეთ ეს და, უბრალოდ, დავარეგისტრირეთ ისინი და ოფიციალური სახე მივეცით. თორემ ღატაკები ყოველთვის იყვნენ და არავინ მათზე არ ზრუნავდა და სწორედ ზრუნვა დაიწყო სახელმწიფომ დაზღვევის თვალსაზრისით და იგივე შემწეობის, ფინანსური დახმარების თვალსაზრისით. ასე რომ, ვინც იტყვის დღეს, რომ ქვეყანა უკან მიდის, ან იღუპება, იტყუება. მაგალითად, ავიღოთ ჯანდაცვა. მე, ვიყავი რევოლუცია, როცა მოხდა ჯანდაცვის მინისტრი აჭარაში, იქ საავადმყოფოები მომსპარი და განადგურებული იყო, ჯანდაცვის პროგრამა, კანონმდებლობაც კი არ იყო წესრიგში მოყვანილი, დღეს კი...

***— თუმცა, მაღალი ფასების გამო ჯანდაცვა ხელმიუწვდომელია...***

— კი მაგრამ, ამავდროულად გავითვალისწინოთ, რომ მილიონობით ადამიანს ვაზღვევთ. მოდით, ასე ვთქვათ, ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო და საავადმყოფო არ ყოფილიყო, რა აზრი ექნებოდა? პირველი თანხები დაიხარჯა იმაში, რომ საავადმყოფოები აშენდა, თანამედროვე აპარატუტურით აღიჭურვა, პარალელურად ვახორციელებთ დაზღვევის პროგრამას, რომ ხელმისაწვდომი გახდეს. ეს ეტაპობრივად ვითარდება, ახლა, ვინმეს თუ ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა და ხელს დაიქნევდა, ეჩვენებინა ბატონი ის ჯადოსნური ჯოხი და მეც დავუკრავდი ტაშს. ამ ჯადოსნური ჯოხის იმედი არ უნდა გქონდეს.

***— ივანიშვილის თემას დავუბრუნდეთ, რომ მიემართა პრეზიდენტისთვის თხოვნით დაუბრუნებდა მოქალაქეობას? ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ უარს მიიღებდა და ამიტომაც არ მიმართა...***

— ყველაზე მეტად ეს უსინდისო სპეკულირება მაღიზიანებს. პრეზიდენტს არ ჩამოურთმევია ივანიშვილისთვის მოქალაქეობა. მას მოქალაქეობა საქართველოს კანონის შესაბამისად შეუწყდა, როგორც კი განაცხადა, საფრანგეთის მოქალაქე ვარო. ვიმეორებ, მას პრეზიდენტმა კი არ შეუწყვიტა მოქალაქეობა, არამედ თვითონვე შეიწყვიტა ამ აქტით. ჩემი აზრით, აქ ორი მომენტია — პირველი, ან სწორედ ე.წ. თავმოყვარეობის გამო არ მიმართა პრეზიდენტს, ან არ უნდა საარჩევნო მარათონში ჩაბმა.

***— აბა, რა უნდა უნდოდეს, ნუთუ, ისე შეეშინდა თქვენი, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაიფიქრა?***

— არ ვიცი, მე მგონი, საბაბს ეძებს, რომ აარიდოს თავი ამ არჩევნებში მონაწილეობას. ის გამოიშვერს ხელს და იტყვის, რომ საქართველოს ხელისუფლების, პრეზიდენტის ბრალია, რომ არჩევნებში ვერ მონაწილეობს, გამოვა თავისი გუნდით და თუ ის გუნდი დამარცხდება და დამარცხდება, დამიჯერეთ, იტყვის, აი, მე, რომ არ ვიყავი ამან გამოიწვია ესო და შედეგებით უკმაყოფილო ვარო. ამით ის მისი ჭკუით თავის თავსაც გადაირჩენს და მის მბრძანებელ რუსეთთანაც არ იქნება შერცხვენილი.

***— მოკლედ, ირწმუნებით, რომ ივანიშვილი თქვენთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს და ქდმ-ს ინიციატივას, რომლითაც ივანიშვილს პოლიტიკური უფლებები მიენიჭება ამიტომ დათანხმდით?***

— მე პირადად საფრთხეს არასდროს ვხედავდი, არც კონკურენტს, რადგან ვერაფრით დავიჯერებ, რომ ქართველმა ხალხმა, თუ ის ძალიან დაბრმავებული არ არის ხელისუფლების სიძულვილით, ან ძალაუფლების წყურვილით თავის თავს არ დაუსვას უმარტივესი კითხვა — შეიძლება თუ არა რუსეთში გქონდეს მილიარდები და არა ფსბ-ს, არამედ პირადად პუტინისგან არ კონტროლდებოდე. და თუ ვინმე ამ შეკითხვას საკუთარ თავს დაუსვამს, პასუხსაც გასცემს და აღმოაჩენს, რომ ივანიშვილი პუტინისგან კონტროლდება. ასე რომ, თუკი ვინმე საქართველოში ამას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ის ან საშინელი გულუბრყვილოა, ან ხელისუფლების სიძულვილით არის დაბრმავებული, ანდა, ხელისუფლების წყურვილით არის დაბრმავებული, მის გვერდზე მყოფებს ვგულისხმობ.

***— რუსეთი ახსენეთ და რუსეთთან ომის დაწყების საფრთხე რეალურია, თუ ხელისუფლების ბოლო განცხადებები ხალხის დაშინებაზეა გათვლილი?***

— სანამ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია, სანამ თბილისიდან ათეულ კილომეტრში დგას რუსული ტანკი და სანამ პუტინის პირად ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების დამხობა, მანამდე ეს საფრთხეები იქნება. და ეს საფრთხეები არ მოიხსნება, სანამ გაცილებით დიდი გლობალური ცვლილებები არ მოხდება, საქართველო არ გახდება ნატოს წევრი და ა.შ.

## მიხეილ სააკაშვილი: რუსული პროგრესის ენა აღარაა

რუსული პროგრესის ენა აღარაა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავდავის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საწარმო „დელტაში“ სტუმრობისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, თუკი აქამდე აბიტურიენტების ძირითადი ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად რუსულ ენას აბარებდა, ახლა არჩევანი ინგლისურზე კეთდება.

„მე რომ პრეზიდენტი გავხდი სტუდენტების 80 % უნივერსიტეტში რუსულს აბარებდა, 20 % დანარჩენ უცხო ენას. წელს 77 %-მა ინგლისური აირჩია და მხოლოდ 14 %-მა ჩააბარა რუსული. რუსულიც უნდა ვიცოდეთ, მაგრამ რუსული დღეს აღარაა პროგრესის ენა და ინფორმაციის მთავარი წყარო. ისინიც ინგლისურს სწავლობენ. ეს სამყარო თავისი პროგრესით და განვითარებით ჩამორჩა და მანამ, სანამ იფიქრებენ, რომ იმპერია სჭირდებათ, რუსული კიდევ უფრო და უფრო ჩამორჩება. ჩვენი შვილები იმ ენაზე უნდა გადავიყვანოთ, რომელიც უფრო პროგრესული და ინფორმაციის მომტანია“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა საქართველოში კომპიუტერების გამავრცელებელი საზოგადოების შექმნაზეც ისაუბრა და იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძის ინიციატივა, რომელიც გარკვეულ რაიონში უკვე მოქმედებს, „ძალიან კარგ იდეად“ შეაფასა. „ეს ძალიან კარგი იდეაა. როგორც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ შემოიტანა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. კომპიუტერი დღეს წერა-კითხვის ტოლფასია. დღეს მეც მიჭირს კომპიუტერის გამოყენება, ვიდრე ჩემს 6 წლის ვაჟს. აღარ ვლაპარაკობ 16 წლის ვაჟზე, რომელიც მსოფლიო რეკორდსმენია“, — აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე განმარტებით, კომპიუტერების გამავრცელებელი საზოგადოება ყველა რაიონის იუსტიციის სახლში ამოქმედდება და კომპიუტერის სწავლა ნებისმიერი ასაკის მსურველს უფასოდ შეეძლება.

ინტერპრესნიუსი

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# ნაციონალმა დეპუტატმა კოხოძემ საირმელებს ქონება წაართვა?!

საკუთარი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა, შესაძლოა, ნებაყოფლობითი არ ყოფილიყო.

**კახა კოჟორიძე:**

— ზეწოლის ან მუქარის შემთხვევებზე ქონების მჩუქებლები არ საუბრობენ. მაგრამ არსებობს გარემოებები, რომელთა ერთობლიობაც ზეწოლის არსებობაზე ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს. მჩუქებელთა უმრავლესობა არის ფიზიკური პირი, რომელსაც გარდა სახელმწიფოსთვის გაჩუქებული ქონებისა, სხვა უძრავი ქონება საკუთრებაში რეგისტრირებული არ აქვს. გაჩუქებული ქონება მდებარეობს ტურისტულ რეგიონებში და მის მესაკუთრეებს, სურვილის შემთხვევაში, ქონების მაღალ ფასად გაყიდვა არ გაუჭირდებოდათ. ჩუქების ფაქტები ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილას, ერთსა და იმავე დროს (1-2 კვირის შუალედში) ხდებოდა.

გაჩუქებული ქონება საჯარო რეესტრში მესაკუთრის სახელზე იყო დარეგისტრირებული. რეესტრში რეგისტრაცია ყოველთვის გარკვეულ ფინანსურ ხარჯებს უკავშირდება (მინიმუმ: სარეგისტრაციო მოსაკრებელი, საკადასტრო აზომვითი ნახაზის გაკეთება, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა და ა.შ.). ამას გარდა, გაჩუქება რამდენიმე შემთხვევაში საკუთრებაში რეგისტრაციიდან და შესაბამისი ხარჯების გაღებიდან უჩვეულოდ მცირე ხანში მოხდა.

რაც შეეხება კურორტ ბახმაროს მაგალითს, არასამთავრობოების მონაცემებით, აქ კერძო პირების მიერ უძრავი ქონების მიტოვების 79 ფაქტია დაფიქსირებული. საჯარო რეესტრმა ეს ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში 2011 წლის 13 დან 25 იანვრის ჩათვლით დაარეგისტრირა. ამ პირების უმრავლესობამ ქონების დასარეგისტრირებლად უამრავი პროცედურა გაიარა: მათ მიმართეს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, შეაგროვეს და წარადგინეს სხვადასხვა დოკუმენტები, რაც ამ ნაკვეთებზე მათ მფლობელობას ადასტურებდა;

გააკეთეს ამ ნაკვეთების აზომვითი ნახაზები, ნოტარიულად დაამოწმებინეს მოწმეთა ჩვენებები, გადაიხადეს საფასური, აიღეს საკუთრების მოწმობა, მიმართეს საჯარო რეესტრს და კვლავ გადაიხადეს მომსახურების საფასური ქონების დასარეგისტრირებულად. ყოველივე ამის შემდგომ, მათ მიატოვეს სიმწრით მოპოვებული ქონება, რაც საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

— მიტოვების შემდეგ, კანონის მიხედვით, ქონება სახელმწიფო საკუთრებაში საჯარო რეესტრისათვის გაკეთებული მიმართვისა და წერილების საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აღრიცხა. რეესტრმა ეს ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში 2011 წლის 13, 14, 20, 24 და 25 იანვარს დაარეგისტრირა.

საჯარო რეესტრის ამონაწერებიდან დგინდება, რომ ზემოხსენებული 79-დან 78 შემთხვევაში, ქონება მათ წინა მესაკუთრეებს (ფიზიკურ პირებს) მართლზომიერ მფლობელობაში ჰქონდათ. 2008 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით, ამ მიწის ნაკვეთების მფლობელებზე გაიცა საკუთრების მოწმობები. ამ მოწმობების საფუძველზე

მიწის ნაკვეთის მფლობელებმა უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დაირეგისტრირეს. მაშინ, როდესაც საკუთრების უფლების ეს მოწმობები გაიცა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ, კომისიის თავმჯდომარე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, შოთა სირაძე იყო. ამჟამად მის მიმართ ქრთამის აღების ბრალდებით გამოძიებაა დაწყებული.

არსებობს ცნობები, რომ მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოწმობები საქმის გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე გაიცემოდა. კომისიის ერთ-ერთი წევრის, ჟორა სიმონიას განცხადებით, შოთა სირაძის თავმჯდომარეობის დროს გაცემული საკუთრების მოწმობების 388 შემთხვევიდან კომისიას არც ერთზე არ უმსჯელია, — აცხადებს კოჟორიძე.

იურისტის თქმით, საინტერესოა, რომ იმ პირების უმრავლესობა, ვისაც საკუთრების უფლების მოწმობები გადაეცათ, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს (გურიის სამხარეო პოლიცია, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის პოლიცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო) თანამშრომლები ან მათი ოჯახის წევრები არიან. აღსანიშნავია, რომ დაკანონებული მიწის ნაკვეთების უმრავლესობა ტყის ზოლშია გაცემული, რაც კანონით აკრძალული იყო.

**კახა კოჟორიძე:**

— პირები, რომლებმაც ბახმაროში საკუთრება მიატოვეს, მიზეზების შესახებ არ საუბრობენ. ამ დროისათვის რთულია იმის დადგენა, მათ კანონიერი გზებით ჰქონდათ თუ არა საკუთრების უფლების მოწმობა მიღებული და შემდეგ საკუთრება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. მაგრამ, თუ კომისიამ მართლაც უკანონოდ გასცა რომელიმე პირზე საკუთრების მოწმობა, კანონმდებლობა ამ მოწმობის გაუქმების სამართლებრივ გზებს ითვალისწინებს. კომისიას უფლება აქვს, გამონაკლის შემთხვევაში, ხელახლა შეისწავლოს საქმის გარემოებები და გააუქმოს მის მიერ გაცემული მოწმობა.

აღნიშნული გადაწყვეტილების გასაუქმებლად სამართლებრივი გზების სიმრავლის მიუხედავად, მათი გამოყენება საჭირო აღარ გახდა, რადგან მესაკუთრეებმა ქონება საკუთარი განცხადების საფუძველზე მიატოვეს.

თუმცა, მანამდე ოთხმოცამდე პირმა ბევრი და საკმაოდ ძვირადღირებული პროცედურა გაიარა ამ ქონების დასაკანონებლად. მათ საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მიმართეს და კანონით დადგენილი შემდეგი პროცედურები გაიარეს: შეაგროვეს და წარადგინეს სხვადასხვა დოკუმენტები, რაც ამ ნაკვეთებზე მათ მფლობელობას ადასტურებდა, თანხა გადაიხადეს ამ ნაკვეთების აზომვითი ნახაზების მომზადებაში, ნოტარიულად დაამოწმებინეს მოწმეთა ჩვენებები, გადაიხადეს რეგისტრაციის საფასური და საკუთრების მოწმობა აიღეს. ყოველივე ამის შემდეგ მათ ქონება მიატოვეს.

არასამთავრობოები ჩუქება-მიტოვების ფაქტებს აჯამებენ და ასკვნიან, რომ ქონების ჩუქება, მათ შორის სახელმწიფოსათვის, საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია. ამას გარდა, ეჭვგარეშეა საზოგადოების სასარგებლოდ საკუთარი ქონების გადაცემის მორალური და კულტურული ღირებულებაც.

— ამგვარი ფილანტროპია მსოფლიოსა და საქართველოში უცხო არ არის და სწორედ ასე შეიქმნა ბევრი პარკი და ნაკრძალი, ისევე როგორც მუზეუმების მდიდარი კოლექციები. შესაბამისად, საკუთრების სახელმწიფოსათვის ჩუქება ხშირ შემთხვევაში არათუ დასაშვებია, არამედ მისასალმებელიც. მაგრამ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ შემთხვევებში ჩუქების ნებაყოფლობითობა საეჭვოა. სავარაუდოა, რომ ქონების მესაკუთრეები დააშინეს და ქონების სახელმწიფოსათვის ჩუქება აიძულეს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ხშირად ჩუქება სიკვდილის შემდეგ, ანდერძით არ მომხდარა და თანაც, მჩუქებლებს შორის ისეთი პირებიც იყვნენ, რომლებსაც გაჩუქებულის გარდა სხვა უძრავი ქონება არ გააჩნდათ.

მსგავსი პრობლემებია ქონების მიტოვებასთან დაკავშირებითაც. მიუხედავად იმისა, რომ კანონით ქონების მიტოვების პროცედურები კარგადაა რეგულირებული, პრაქტიკა მრავალ ეჭვს ბადებს. განსაკუთრებით თვალშისაცემია მიტოვების ისეთი შემთხვევები, რომლებიც კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა და დროშია კონცენტრირებული. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ამგვარი გეოგრაფიული არეალები ეკონომიკური განვითარების ახალ პრიორიტეტულ რეგიონებს ემთხვევა ხოლმე, — აცხადებენ არასამთავრობოები.

# რატომ არ აწყობს „ქართულ ოცნებას" ერთიანი ოპოზიციური ფრონტი

თეა მარხვაიძე

ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი, მათ შორის „ქართული ოცნება" ამბობს, რომ ეს არჩევნები იქნება გადამწყვეტი ბრძოლა ხელისუფლების შესაცვლელად. ამ ხელისუფლებას ფესვები ძალიან ღრმად აქვს გადგმული და მისი შეცვლა იოლი არ იქნება. ამას ყველა კარგად აცნობიერებს. კარგად იციან ისიც, რომ ამ ხელისუფლების დაძლევა მხოლოდ ერთიანი ძალებით არის შესაძლებელი. ამის მიუხედავად, გაერთიანებას მაინც ვერ ახერხებენ. ხელისუფლებასთან დასაპირისპირებელ ენერგიას კი ერთმანეთის ლანძღვაში ხარჯავენ, რითაც, უნდათ თუ არა, ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ წყალს.

გაერთიანების იდეით მავანი ოპოზიციონერი ბევრჯერ გამოვიდა. ერთი-ორჯერ სცადა კიდევაც ოპოზიციამ გაერთიანება. ამით არაფერი გამოვიდა. ოპოზიციის გაერთიანებას არც ახლა უჩანს პირი.

პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ეს გაერთიანება უნდა შემდგარიყო, არადა პირიქით მოხდა. ზოგს თავად ბიძინა დაესხა თავს, ზოგმა იქით შეაჩვენა ბიზნესმენი. ამ დაპირისპირებაში მტყუან-მართლის გარკვევა ძნელია. ფაქტი კი ისაა, რომ ოპოზიციას ერთიანობა სჭირდება.

ამ ერთიანობაში განსაკუთრებული როლის შეტანა „ქართულ ოცნებას" შეუძლია, არადა ისინი ამისთვის ბევრს არაფერს აკეთებენ. სადღაც ვერც გაამტყუნებ. კოალიციაში ისედაც ბევრნი არიან. საქართველოში კი ლამის 200 პარტიაა და ყველას ხომ ისინი ვერ შეიფარებენ. თუმცა, როგორც თავად ამბობენ, არჩევნების ნორმალურად ჩატარებისთვის ყველაფერს გააკეთებენ.

— კოალიცია „ქართული ოცნება" საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულ და სამართლიან ვითარებაში ჩასატარებლად ყველა წინადადებას განიხილავს, — ეს განცხადება კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა.

როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, მას არ აქვს ზუსტი ინფორმაცია ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნასთან დაკავშირებით კოალიციის მიერ „სახალხო კრების" შეთავაზების განხილვის შესახებ.

— პოლიტსაბჭოზე ასეთი განხილვა არ მახსოვს, მაგრამ რასაკვირველია, ყველა წინადადება, რომელიც ქართველი ხალხის გაერთიანებას ემსახურება, მისასალმებელია და მსჯელობის საგნად იქცევა, — აღნიშნა მან.

ცნობისათვის, „სახალხო კრებამ" ოპოზიციურ პოლიტიკურ სუბიექტებს ხელისუფლების შეცვლის მიზნით ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის ინიციატივა მარტში გააცნეს. ამ ინიციატივით სხვა ოპოზიციური გაერთიანება რომ გამოსულიყო, საქმე ალბათ სხვანაირად იქნებოდა.

ოცნებას და კრებას კი ერთმანეთში ძალიან უცნაური დამოკიდებულება აქვთ. გოგი თოფაძე კი ამბობს, ივანიშვილი და ნინო ბურჯანაძე უნდა შევარიგოო, მაგრამ, სავარაუდოდ, არაფერი გამოვა.

„ქართულ ოცნებაში" ნინო ბურჯანაძეზე სერიოზული ალერგია აქვთ. რა არის ამის მიზეზი, ამას ღიად არავინ ამბობს. შეიძლება ეს მის დაბალ რეიტინგს დავაბრალოთ. თუმცა ამ კოალიციაში ისეთი ხალხიც მოხვდა, ვისაც ბურჯანაძეზე დაბალი რეიტინგი აქვს.

თუმცა გემოვნებაზე არ დავობენ და ვერც ამისთვის განსჯის ვინმე ივანიშვილს. ფაქტი ისაა, რომ ასეთი დაპირისპირება ოპოზიციას უშლის ხელს. ოპოზიციურ სპექტრში სხვა სერიოზული დაპირისპირებებიც მიმდინარეობს.

არჩევნებამდე შესაძლოა ბევრი რამე შეიცვალოს. ერთმანეთთან შესაძლოა ისეთმა ძალებმა დაიწყონ თანამშრომლობა, სიზმარშიც რომ არ შეიძლება ამის დაშვება.

ოპოზიციის დიდი ნაწილი ამბობს, რომ მათი მიზანი ხელისუფლების შეცვლაა. ამ ხელისუფლების შეცვლა კი ერთ რომელიმე კონკრეტულ ძალას არ შეუძლია. მათ შორის, არც ქართულ ოცნებას. მიუხედავად იმისა, რომ მის ლიდერს დიდი ავტორიტეტი და საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს.

ერთიანი ფრონტის გამოსვლის იდეით პარტია თავისუფალი საქართველოც გამოვიდა. ოცნებაში არც ეს იდეა მიუტანიათ გულთან ახლოს. ყოველ შემთხვევაში, ამ თემაზე საჯაროდ განცხადებები არ გაკეთებულა. ან შეიძლება მაია ფანჯიკიძემ არ იცის ამის შესახებ.

ხალხი ოპოზიციის გაერთიანებას ელოდება, ოღონდ არა ერთ პარტიაში. რაღაც სფეროებში მათ მართლაც შეუძლიათ თანამშრომლობა. თუნდაც იმიტომ, რომ ერთმანეთს ხმები არ წაართვან.

ასეთი რამეები არჩევნების დროს ხშირად მომხდარა და ამიტომაც გრძნობს სააკაშვილი თავს ლაღად. დღეს ისეთი ლაღი აღარ არის, როგორც უწინ, მაგრამ ქვეყანაში პარადი მაინც მას მიჰყავს.

დღეს შექმნილი ვითარება ბევრს 1990 წელს აგონებს. საქართველოში მაშინაც ბევრი პოლიტიკური პარტია იყო. ოპოზიციის ლიდერი კი ზვიად გამსახურდია გახლდათ, რომელიც ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

იმ დროს ეროვნულ მოძრაობაში სერიოზული განხეთქილება იყო. გამსახურდიას არჩევნები არჩევნებამდე ჰქონდა მოგებული. ამის მიუხედავად, ის ყველა პარტიასთან პირადად მივიდა მოსალაპარაკებლად. ყველას გაერთიანებისკენ მოუწოდებდა.

ასევე იყო 2003 წელსაც. მაშინ უკვე მიხეილ სააკაშვილი დადიოდა პარტიებში, არადა მასაც ფაქტიურად მოგებული ჰქონდა არჩევნები. ივანიშვილი დღეს სერიოზულ ძალას წარმოადგენს. რომელსაც ნამდვილად შეეძლო ოპოზიციის გაერთიანება. თუმცა მას ამის გაკეთება რაღაცის გამო არ სურს.

კაცია და გუნება. ამის გამო კიდევ ვამბობთ, მას ვერავინ გაამტყუნებს, მაგრამ ასეთ დუმილს ღია განმარტების გაკეთება სჯობია. სხვა თუ არაფერი, დამატებითი ჭორები მაინც არ გავრცელდება.

ივანიშვილის პოლიტიკური პარტია 21 აპრილს დაფუძნდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ დრომდე გავარკვევთ, აპირებს თუ არა ოცნება ერთიან ოპოზიციურ ფრონტში ჩართვას. განცხადების გაკეთება მერეც შეიძლება, ისევე, როგორც ერთიანი ფრონტის შექმნა. მთავარია ეს დაგვიანებული არ აღმოჩნდეს. პოლიტიკური ინტრიგების დახლართვაში სააკაშვილს ვერავინ შეედრება. ამდენად, ოპოზიციას ძალიან დიდი სიფრთხილე მართებს.

# გოგა ხაინდრავა: ხელისუფლებამ შეიძლება არჩევნები ჩაშალოს

ნათია ხურცილავა



მიუხედავად იმისა, რომ გოგა ხაინდარავამ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ დიდი ხნის წინ გააკეთა განაცხადი, ის ისევ აქტიურ პოლიტიკურ პროცესშია ჩართული და არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის აპირებს ბრძოლას.

გუშინ ხაინდრავამ განაცხადა, რომ საქართველოში ლიბიალიზაციის საფრთხეს ხედავს. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად არ ჩატარდა.

ხაინდრავა არც იმას გამორიცხავს, რომ შეიძლება არჩევნები არ ჩატარდეს ქვეყანაში და ამის მიზეზი პრეზიდენტის პროვოკაციული ქმედებები გახდეს.

— ნებისმიერი ადამიანისთვის არჩევნის უფლება უმნიშვნელოვანესია და ბოკერია, ადეიშვილი, მერაბიშვილის კლანი ამ უფლების წართმევას გვიპირებს. ჩვენ ყველა ხერხი ვიცით, თუ როგორ შეიძლება ხელისუფლებამ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას ხელი შეუწყოს. თუმცა, ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ამომრჩეველთა ლიგის" წევრი გოგა ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნება" გაიმარჯვებს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გახდება. ამის შესახებ ხაინდრავამ პრესსა ჯე-თვ-ს პრეს-კლუბში განაცხადა. გოგა ხაინდრავამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივას „სამარცხვინო" უწოდა. — თარგამაძის პარტია „ნაციონალური მოძრაობის" შექმნილია და ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც მან შემოგვთავაზა, სამარცხვინოა. ეს ინიციატივა არის კუბლაშვილის მცდელობა, თარგამაძის ხელით უკანონობა „გააპრავოს". — განაცხადა ხაინდრავამ.

ხაინდრავამ მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები მოიყვანა, სადაც კონსტიტუცია მას შემდეგ რაც შეიქმნა, თითქმის არ შეცვლილა.

ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნება" გაიმარჯვებს და ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდება მიუხედავად იმისა, თუ რა გზებით შეეცდება ხელისუფლება ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებას ხელი შეუშალოს.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგის" წარმომადგენელი გაბედულ და ვაჟკაცურ ნაბიჯს უწოდებს „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის, ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებას პოლიტიკური საქმიანობის ზუგდიდში გაგრძელების თაობაზე.

— მინდა შევუქო ეს გაბედული გადაწყვეტილება. ყველას კარგად ესმის, რომ ბუდე ამ აღვირახსნილი კრიმინალის და მაიოზური სისტემის, რომელიც საქართველოშია ჩამოყალიბებული, სამწუხაროდ, იმ კუთხეშია, საიდანაც ირაკლი არის და მეც ვარ წარმოშობით. ეს არის ახალაიების აბსოლუტურად ბინძური კლანი, რომელიც არაფრის წინაშე არასდროს არ გაჩერებულა და არც გაჩერდება. — განუცხადა ხაინდრავამ. გოგა ხაინდრავას განცხადებით, თუ რამე მანკიერება და სიბინძურეა ამ წლებში ჩადენილი საქართველოში, დაწყებული პატიმრებიდან და ჯარისკაცების წამებით დამთავრებული, ეს არის ახალიების განხორციელებული.

ხაინდრავა ამბობს, რომ სწორედ სამეგრელოა ის „ბუდე", რომლის ყველაზე დიდი იმედი აქვს მიხეილ სააკაშვილს. „ამიტომ, ალასანიას გადაწყვეტილება, რომ ჩავიდეს იმ კუთხეში და ეს ბუდე მოშალოს, ვაჟკაცური გადაწყვეტილებაა", — ასე უწონებს პოლიტიკურ ნაბიჯს ხაინდრავა ალასანიას.

გოგა ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ ალასანიას აქვს ის პოტენციალი, ეს ყველაფერი წარმატებით განახორციელოს.

ირაკლი ალასანია წინასაარჩევნოდ ზუგდიდში გადასვლას და მისი ოფისის იქ გადატანას აპირებს.

როგორც ალასანია აცხადებს, გადაწყვიტა წინასაარჩევნოდ დიდი დრო რეგიონებში გაატაროს, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, რადგან მიიჩნევს, რომ ამ კუთხეში მოსახლეობას ყველაზე მეტი მხარდაჭერა სჭირდება, რადგან იქ ყველაზე ძლიერია ავტორიტარულ-რეპრესიული რეჟიმი.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგის" წევრი, გოგა ხაინდრავა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" დამარცხებას პროგნოზირებს და აცხადებს, რომ ეს არის ბუნების კანონი, რისი შეცვლაც შეუძლებელია. როგორც ხაინდრავამ განუცხადა, ამას სრული პასუხისმგებლობით ამბობს და არც იმას გამორიცხავს, რომ პრეზიდენტმა თავისი გუნდი არჩევნებამდე ვერც მიიყვანოს. ხაინდრავას განმარტებით, სააკაშვილის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც დღითიდღე უარესდება, იმის საფუძველს იძლევა, რომ მან არჩევნებამდე ვერ მიაღწიოს, ხოლო „ნაციონალურმა მოძრაობამ", რომელიც სისტემურად ერთ კაცზე — სააკაშვილზეა აგებული, შესაბამისად, კრახი განიცადოს. „ამომრჩეველთა ლიგის" წარმომადგენელმა შედარება გააკეთა მიხეილ სააკაშვილის მიმართ საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის ხარისხზე 2008 წელს და მიმდინარე წელს შორის. მისი მტკიცებით, დღეს ვითარება კარდინალურად შეცვლილია და 2008 წლისგან განსხვავებით, დღეს სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გვამს წარმოადგენს. ხაინდრავას განცხადებით, ეს წლები სააკაშვილი მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, განსაკუთრებით, ამერიკელი „რესპუბლიკელების" მხარდაჭერაზე იდგა, რადგან, მისივე თქმით, „სენატორი მაკკეინი ისეთივე მარაზმატიკია, როგორც სააკაშვილი".

გოგა ხაინდრავა არც იმას გამორიცხავს, რომ არჩევნები სააკაშვილის დანაშაულებრივი და პროვოკაციული ქმედებების გამო ვერც შედგეს.

# კონსტიტუციის 42-ე მუხლი პრეზიდენტს მიმართავს

შორენა კოწოწაშვილი

**საჯარო სამართლის იურიდიულად დარეგისტრირებული და ვანო მერაბიშვილის უწყების მორიგი გამდიდრების წყაროდ მიჩნეულ „112"-ს უფლებადამცველები და იურისტები, ისევე, როგორც მთელი საზოგადოება, დისკრიმინაციულად მიიჩნევენ და მიაჩნიათ, რომ არასამართლიანია, როდესაც ადამიანი არ სარგებლობს 112-ის მომსახურებით და მას მომსახურების საფასურს ტელეფონიდან ავტომატურად აჭრიან.**

ნაციონალების ამ „ნოვატორულ" მიგნებას მოწინააღმდეგეები და თანაც სამართლიანი მოწინააღმდეგეები მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიღებისთანავე გამოუჩნდნენ, თუმცა სააკაშვილის გუნდმა იგნორირება გაუკეთა საზოგადოების ინტერესებს და სალხის ჯიბეებიდან თანხის ამოღების ახალ წყაროს ფართოდ გაუღო კარები, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალმა იურისტებმაც და თავად პრეზიდენტმაც ძალიან კარგად იციან, რომ ეს გადასახადი მოქმედ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდის.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის 27 დეკემბერს გამოცემული №489 დადგენილების გაუქმების მოთხოვნით მიმართავს, რომელიც შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის 112-ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთის მოთხოვნით მიმართავს, რომელიც „საქართველოს შინაგან და გადახდის წესის დამტკიცებას" ეხება.

აღნიშნული დადგენილების გაუქმების მოთხოვნით ორგანიზაციის იურისტებმა უკვე შეიტანეს სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე მიმდინარე წლის იანვრიდან მოქალაქეთა სააბონენტო ნომრების სადეპოზიტო ანგარიშებიდან 20 თეთრის დაქვითვა დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის 489-ე დადგენილების გამოცემის დღიდან არ უსარგებლიათ 112-ის მომსახურებით. თანაც დაქვითვა განხორციელდა იმ დროს, როდესაც შს სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „112" ფაქტობრივად არ არსებობდა.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლში" მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმატიული აქტით დადგენილი მოწესრიგება ეწინააღმდეგება მნიშვნელოვან კონსტიტუციურ პრინციპებს. კერძოდ, თანასწორობის ძირითად უფლებებს, რომლებიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 38-ე მუხლებით; ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით.

მთავრობის დადგენილების სადავო პუნქტი არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს მოქალაქეებს, რადგანაც 112-ის მომსახურების საფასურის გადახდა ეკისრებათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ფლობენ მობილურ ტელეფონებს და თვის განმავლობაში სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესაძენად 5 ლარზე მეტს ხარჯავენ. ასევე ფიქსირებული სატელეფონო ნომრების მფლობელებს, რომელთა ტელეფონი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ორმხრივად ჩართული ან ისარგებლა ფასიანი მომსახურებით და ა.შ.

— კონსტიტუცია არ მოითხოვს ყოვლისმომცველ, ტოტალურ გათანაბრებას, ის მხოლოდ მოითხოვს, რომ ადამიანთა ორ ჯგუფს შორის დიფერენცირება შეესაბამებოდეს მათ შორის რეალურ განსხვავებას და არ უნდა იწვევდეს მნიშვნელოვნად თანასწორთა მიმართ არათანასწორ მოპყრობას. შესაბამისად, ადამიანთა ორი ჯგუფის დიფერენცირების ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა ტელეფონით სარგებლობა და თვის განმავლობაში მობილური ოპერატორის მომსახურებაში დახარჯული თანხის ოდენობა, არაგონივრულია, რადგანაც ტელეფონით სარგებლობა არ ნიშნავს, რომ მობილურის მფლობელი უფრო მეტად საჭიროებს 112-ის დახმარებას, ვიდრე ადამიანი, რომელსაც არ აქვს ტელეფონი ან საუბრისას მომჭირნედ ხარჯავს თანხებს, — აცხადებენ „კონსტიტუციის 42-ე მუხლში". იურისტების მტკიცებით, დისკრიმინაცია და არათანასწორი მოპყრობა უფრო ნათლად იკვეთება, როდესაც განვიხილავთ იმ პირთა მდგომარეობას, რომლებიც ფლობენ მობილურ სააბონენტო ნომერს. მაგალითად, პირი, რომელიც ფლობს 3 მობილურ ნომერს, თვის განმავლობაში მის მიერ 112-ისთვის გადახდილი თანხა სამჯერ აღემატება იმ პირის მიერ გადახდილ თანხას, რომელიც ფლობს მხოლოდ ერთ ნომერს, მიუხედავად იმისა, აღემატებოდა თუ არა ჯამში სამივე ნომრიდან დახარჯული თანხა სხვა პირის მიერ ერთი ნომრიდან გახარჯულ თანხას და ეს არ ნიშნავს, რომ რაიმე უპირატესობით ისარგებლებს 112-ის მომსახურებისას ან უკეთ იქნება დაცული. შესაბამისად, ორგანიზაცია პრეზიდენტს უფლებამოსილების ფარგლებში სთხოვს, რომ გააუქმოს გასული წლის 27 დეკემბრის მთავრობის №489 დადგენილება.

გააუქმებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი დისკრიმინაციულ და უსამართლო გადასახადს, ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, პრეზიდენტი უფლებადამცველებს ამ თხოვნაზე უარს ეტყვის იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ წინ მეტად მძიმე საპარლამენტო არჩევნებია და მილიარდერ ივანიშვილთან პოლიტიკურ ბრძოლაში სააკაშვილს და მის გუნდს სოლიდური თანხები სჭირდებათ. 112 კი თავისი უსამართლო და დისკრიმინაციული გადასახადით სააკაშვილს ამ არჩევნებში მნიშვნელოვნად წაადგება.

# სოცდემები ივანიშვილის ირგვლივ დარაზმვას ყველა პარტიას ურჩევენ

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანთან

***– როგორ აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას და ხომ არ განიხილავთ რომელიმე პარტიასთან ბლოკში გაერთიანებას?***

– ამის თაობაზე განვაცხადეთ ჩვენი პოზიცია. ჩვენ მოვუწოდეთ ყველა რეალურად პოლიტიკურ ძალას, კოორდინირებულად იმოქმედოს ბიძინა ივანიშვილის გაერთიანებასთან. მხარი დავუჭიროთ ივანიშვილის გაერთიანებას პროპორციულ სიებში, ხოლო მაჟორიტარულ არჩევნებში მოხდეს კოორდინირებული შერჩევა. ივანიშვილი რეალური ალტერნატივაა არსებული ხელისუფლებისა. ამ მოწოდებას გამოეხმაურა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ჩვენ გვქონდა შეხვედრა და შევთანხმდით, რომ ამ წესით ვითანამშრომლებთ. ქართული ოცნება მხარს დაუჭერს იმ კანდიდატებს, რომელზეც ჩვენ შევთანხმდებით. ამავდროულად ჩვენ ვაგრძელებთ მოწოდებას სხვა რეალურად ოპოზიციური ჯგუფებისადმი, რომ მონაწილეობა მივიღოთ კოორდინირებულ ქმედებაში. პოზიტიური დამოკიდებულება ამ მოწოდებისადმი სხვა პოლიტიკურმა ჯგუფებმაც გამოხატეს. მე ვფიქრობ, რომ ეს მექანიზმი იმუშავებს.

***– ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ჩვენთან ინტერვიუში დაადასტურა, რომ სახალხო კრების დარბაზის სხდომაზე თქვენ და აკაკი ასათიანი სტუმრების სტატუსით იყავით მიწვეული, იგეგმება თუ არა დიდი ოპოზიციური ფრონტის შექმნა?***

– ზუსტად ის იგეგმება, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენ გავგზავნეთ ასეთი წერილები ყველა პარტიასთან, დარბაზის სხდომაზე სახალხო კრებაში ჩვენ ვისაუბრეთ ამ თემაზე და ჩვენი წინადადების პრეზენტაცია გავმართეთ. ჩვენი დასწრება სახალხო კრების დარბაზის მუშაობაში არ ნიშნავს რაიმე სახის გაერთიანებაში მონაწილეობას. როგორ დალაგდება ვითარება, ამ წუთში ეს ნათელი არ არის. ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად დღეს რაიმე სხვა გაერთიანებაზე საუბარი. სასურველია, რომ რეალურად ოპოზიციური ჯგუფები ბატონი ბიძინას გაერთიანებაში შევიდეს ან თუ არ გაერთიანდება, მაშინ კოორდინირებულად იმოქმედოს ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

***– სიების დაზუსტების კომისიის ალტერნატიული კომისიის შექმნის იდეა აკაკი ასათიანმა გაახმოვანა. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ ინიციატივაზე და კაციტაძის კომისიისადმი როგორია თქვენი დამოკიდებულება?***



– ყველა მიმართულებით მუშაობას, რომელიც ხელს შეუწყობს სიების დაზუსტებას, აზრი აქვს. ამდენად თუ რაიმე ჯგუფები კიდევ გაერთიანდება, ეს მისასალმებელია. კონკრეტულად ჩვენი ჩართვის შესახებ მე ვერაფერს გეტყვით, როგორ იქნება, მაგრამ ჩვენის აზრით, მხოლოდ სამართლებრივი იურიდიული მიმართულებებით ბრძოლა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. ჩვენ არ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დიდი ნაწილის მობილიზებას, და ხალხის გადაწყვეტილებას, რომ მან მართლაც რეალური არჩევანი გააკეთოს. ასეთ შემთხვევაში ვერ გატეხენ ხალხის ნებას, ვერ აჯობებენ, არჩევნების შედეგები ხალხის ნების შესაბამისი იქნება და თუ გაყალბდება, ხალხი დაიცავს თავის ხმებს, და არჩევნები დამთავრდება იმ შედეგით, რასაც ხალხი განსაზღვრავს. ამისთვის საჭიროა, რომ ხალხმა ირწმუნოს, რომ მას ამის ძალა აქვს.

***– თქვენ აქციებსაც გულისხმობთ?***

– შეიძლება იყოს აქციები, მოსახლეობასთან შეხვედრები, განმარტებები იმისა, თუ რა უნდა შეიცვალოს ჩვენს ცხოვრებაში. ეს არის ის თემები, რომელიც არასაკმარისად ყურადღებამიქცეულია ჩვენი ოპოზიციის მიერ. ეს თემები მისცემს ხალხს გაბედულებას, ენთუზიაზმს, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილოება არჩევნებში.

***– ქდმ-ს მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებას გვერდს ვერ ავუვლით. როგორია თქვენი შეფასება ამის თაობაზე?***

– მოკლედ რომ გითხრათ, მკვეთრად უარყოფითი. არ შეიძლება ასეთი ხელოვნური მექანიზმებით მუშაობა, არ მინდა შინაარსზე საუბარი, ეს არ არის რაიმე ლოგიკით დაკავშირებული საქართველოს კონსიტიტუციაში ადამიანების უფლებების გაძლიერებასთან, ან კარგი დემოკრატიული პირობების შექმნასთან, ეს არის ხელოვნურად შექმნილი მცდელობა, იქნეს დარეგულირებული საკითხი, რომელიც არ რეგულირდება სხვანაირად. სინამდვილეში ხომ ცხადია, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ არ მიენიჭოს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა. მე მგონია, რომ ეს საკითხი საერთოდ უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან, თუ ბიძინა ივანიშვილის გაერთიანება მოახერხებს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლას, სხვა უსამართლობებთან ერთად ეს საკითხიც მოგვარდება, ხალხის ნების შესაბამისად ჩამოყალიბდება მთავრობაც, არჩეული იქნება პრემიერ-მინისტრიც. არსად, დედამიწის ზურგზე პოლიტიკა არ წყდება სასამართლოს საშუალებით. პოლიტიკა წყდება პოლიტიკაში. პოლიტიკა – ეს არ არის მაინცდამაინც აქციები, რაღაცის აღება და ჩხუბი, პოლიტიკა – ეს არის ხალხის ნების მობილიზება. ასე უნდა წარიმართოს ყველაფერი და არა გაუთავებელი ჩივილით სასამართლოებში, რომელზეც მთელი ოპოზიცია ამბობს, რომ უსამართლოა. მნიშვნელობა ჰქონდა ამ საკითხის განხილვას სასამართლოში, ამოიწურა ყველა სამართლებრივი მექანიზმი, მთავარი ის არის, რომ ხალხმა ირწმუნოს – ბიძინა ივანიშვილის გაერთიანება რეალური ალტერნატივაა ამ ხელისუფლების, არსებული პოლიტიკური კურსის, არსებული ეკონომიკური პოლიტიკის, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პოლიტიკის ალტერნატიული კურსის გამტარებელი გაერთიანება და ხალხი ამას მხარს დაუჭერს. ეს არის მთავარი.

***– მიხეილ სააკაშვილს ბოლო დროს საკმაოდ გაუფუჭდა ურთიერთობები დემოკრატიული ქვეყნების საელჩოებთან, როგორ აფასებთ ამ ვითარებას?***

– ხდება იმ ილუზიის შემცირება, რომ საქართველო არის დემოკრატიის შუქურა და ა.შ. ეს არა მარტო სააკაშვილის 2007 წლის შემდეგომი ქცევებია და მთავრობის პოლიტიკისა, არამედ მსოფლიოში მომხდარი დიდი ცვლილების შედეგიც, ბუშის ადმინისტრაცია შეიცვალა, ამერიკის სათავეში ობამაა. ანუ ზეაღფრთოვანებული დამოკიდებულება, რომელიც ჰქონდა ამერიკის ადმინისტრაციას და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული გარკვეულ ძალებს, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ასეთი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. ახლა აშშ ბევრად უფრო თავშეკავებულია, უფრო მეტად კრიტიკული. ეს არის დაკავშირებული იმ კურსის გადაფასებასთან, იმ სინამდვილის დანახვასთან, რასაც აქვს ადგილი საქართველოში. ჩვენ არ უნდა ველოდოთ იმ ტიპის მხარდაჭერას, რომელიც სააკაშვილს გარანტირებული ჰქონდა ბუშის ადმინისტრაციის დროს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთის ქვეყნები მხარს დაუჭერენ დემოკრატიულ პროცესს და დემოკრატიულ ალტერნატივას, არ ჩაერევიან ხელისუფლების შეცვლაში, მაგრამ ცხადია ჩაერევიან დემოკრატიული პროცესის წინსვლაში, რაც დაკავშირებულია არსებული ხელისუფლების დელეგიტიმაციასთან, და უფრო დემოკრატიული, პლურალისტური ძალების მოსვლასთან ხელისუფლებაში.

***– რა მოლოდინი გაქვთ ჰილარი კლინტონის ვიზიტთან დაკავშირებით?***

– არა მგონია, რომ განსაკუთრებული სპეციფიკური მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს არის იმ ტიპის ვიზიტები, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის ადმინისტრაცია მუდმივად ახორციელებს,, რაც დაკავშირებულია არა მარტო საქართველოსთან, არამედ რეგიონულ პოლიტიკასთან, რეგიონულ სტაბილურობასთან, რაც აშშ-სთვის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა, მე არ ვფიქრობ, რომ ამერიკის ადმინისტრაციისთვის რეგიონში ესკალაციაა მიზანი, უფრო ვითარების სტაბილურობით არის დაინტერესებული, რაც შეეხება საქართველოში ჩამოსვლას, აქ ხაზი გაესმება, დემოკრატიული არჩევნების მხარდაჭერას, ესკალაციის შესუსტებას, წინადადების მიცემას და ზეწოლასაც, რომ საარჩევნო პროცესი წარიმართოს დემოკრატიულად.

***– ჩიკაგოს სამიტისადმი დიდი მოლოდინი აქვს ხელისუფლებას, იმას არ ამბობს, რომ ამ სამიტზე გადაწყდება ჩვენი ნატოში წევრობა, მაგრამ ამბობენ, რომ საქართველოს საკითხი ცალკე იქნება განხილული. გადაჭარბებული ხომ არ არის ხელისუფლების ეს იმედი?***

– საქართველოსთან მიმართებაში რადიკალური ცვლილება არ იქნება, ღია კარის პოზიციას ნატო არ ცვლის, მაგრამ გარკვეული პირობები საქართველომ უნდა შეასრულოს, ეს პოზიცია არ შეიცვლება, კონკრეტულად კი არა მგონია, რაიმე განსაკუთრებული ცვლილება მოხდეს, ალბათ ისევ ხაზგასმული იქნება დაძაბულობის შემცირების მიზანშეწონილობის შესახებ და იმ მექანიზმების ამუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში დაძაბულობის განეიტრალებას. რუსეთთან მიმართებაში ნატოს პოზიცია არ გამკაცრდება.

***– დღეს ხელისუფლება განგაშით აცხადებს, რომ სამხედრო წვრთნები „კავკასია 2012“ რუსეთის მიერ წარმოებული საქართველოს საზღვრებთან, ემთხვევა არჩევნებს და ახალ ომზეც საუბრობობენ. რას ფიქრობთ ამაზე?***

– მეჩვენება, რომ ეს არაადეკვატური რეაქციაა.

***– რუსეთთან დაკავშირებით როგორია თქვენი პარტიის პოზიცია?***

– ევროპული არჩევანი არ არის არც ერთი პარტიის გადაწყვეტილება, ეს ჩვენი კულტურული გადაწყვეტილებაა, ეს არის ჩვენი ბედისწერა. ჩვენი კულტურა არის ევროპული, ჩვენ ამ განვითარების გზას ვერ ავცდებით. ნატო, როგორც სტაბილურობის გარანტი მშვიდობისა და უსაფრთხოების გაზრდილი ელემენტებით და სამხედრო მექანიზმებით შემცირებული გაერთიანება, მიგვაჩნია, რომ შეასრულებს დადებით როლს და ამის პოტენციალი გააჩნია, რეგიონული და საქართველოს უსაფრთხოებისთვის. ნატოში გაწევრიანება – ეს არ არის იგივე, რაც თანამშრომლობა ევროკავშირთან. ეს არის უფრო ტაქტიკური ნაბიჯი და არა ბედისწერა. შეიძლება გავერთიანდეთ და შეიძლება არა, მარტო ჩვენზე არ იქნება ეს დამოკიდებული, იქნება გამომდინარე კონკრეტული ამოცანებიდან. რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობები უნდა წარიმართოს ცხადია, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. მხოლოდ რევანშიზმი რიტორიკის დონზე, დაძაბულობის ზრდა არ პასუხობს ჩვენი ქვეყნის პრაგმატულ ინტერესებს. დასავლეთ გერმანიას არასოდეს ულიარებია აღმოსავლეთ გერმანია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ის თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირთან. დასავლეთ ევროპა და ამერიკა არ აღიარებდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნების გაწევრიანებას საბჭოთა კავშირში, მაგრამ ისინი თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირთან, ამ პოლიტიკამ მოიტანა ის შედეგი, რომ გერმანია გაერთიანდა, ბალტიის ქვეყნები კი დამოუკიდებლები გახდნენ. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაში უნდა გამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის პრაგმატული და რეალისტური ინტერესებიდან. კონკრეტულ ნაბიჯებზე მკითხეთ მაშინ, როცა ხელისუფლებაში ვიქნებით. ამისთვის ბევრი ცდა არ მოგიწევთ, შემოდგომის შემდეგ შეგიძლიათ კონკრეტული კითხვები დამისვათ და მეც გიპასუხებთ.

---

ნათია ხურცილავა

# სულხან-საბა ორბელიანს საქართველოში გადმოასვენებენ

**ვსესვიატსკოეს სასაფლაოზე, სადაც ქართველ ბაგრატოვანთა საძვალეა, გავრცელებული ინფორმაციით გამალებით მიმდინარეობს მშენებლობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ უკვე მიმართა რუსეთის ფედერაციას მეტი ინფორმაციის მისაღებად. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო რუსეთში, ვსესვიატსკოეს სასაფლაოზე მიმდინარე მშენებლობის შესახებ დამატებით მასალებს შვეიცარიის საელჩოს დახმარებით ელოდება.**

როგორც ჩანს, დღის წესრიგში დადგა სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების საკითხი. თუმცა, მანამდე იქ არსებული მდგომარეობის შესწავლას აპირებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, მოხდება თუ არა სულხან-საბას გადმოსვენება. როგორც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში აცხადებენ, სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის საქართველოში უმოკლეს დროში გადმოსვენების საკითხი სასაფლაოზე არსებული სიტუაციის დეტალური შესწავლის შემდეგ დადგება.

– ის, რომ რუსეთში ასე ვანდალურად ეპყრობიან ქართულ ძეგლს, შეიძლება იმ აქციის გაგრძელებად მივიჩნიოთ, რასაც ქართული კვალის წაშლა ჰქვია. სიტუაციის შესწავლის შემდეგ დადგება საკითხი, რომ უმოკლეს დროში მოხდეს სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის საქართველოში გადმოსვენება. ჩვენ ველოდებით დამატებით მასალებს, რომლებსაც შვეიცარიის საელჩოს დახმარებით მოგვაწოდებენ. – აცხადებენ სააგენტოში.

მათივე განმარტებით, ამ დროისთვის არსებული ფოტო და ვიდეომასალებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მშენებლობის დეტალების შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვს.

– ზუსტი და დეტალური ინფორმაცია, თუ რა ტერიტორიის ნგრევა მიმდინარეობს და სად ხდება მშენებლობა, ჩვენთვის ამ ეტაპზე ბოლომდე ცნობილი არაა. – აღნიშნავენ სააგენტოში.

საქართველოს ხელისუფლებამ, კონკრეტულად ბაგრატიონთა საფლავებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო უწყებამ რუსეთს, შვეიცარიის საელჩოს შუამავლობით, ოფიციალური ნოტა გაუგზავნა. ქართული მხარე ვსესვიატსკოეს სასაფლაოზე დაწყებული მშენებლობის აღკვეთას ითხოვს.



არსებული ინფორმაციით, ბაგრატიონთა უძველეს საფლავს რუსეთში, დაბა ვსესვიატსკოეში საფრთხე ემუქრება.

დარეჯან დედოფლის მიერ აგებულ ყველაწმინდას სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სულხან-საბა ორბელიანი და სხვა ქართველი მოღვაწეები არიან დაკრძალული, მოსკოველმა მაღალჩინოსნებმა უკანონო მშენებლობა აღმოაჩინეს. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ერთსართულიან ბეტონის ნაგებობებზე არავითარი სამშენებლო ნებართვა არ არსებობს.

ტაძარი რუსეთის ფედერაციის დაცული ძეგლების ნუსხაშია. ბაგრატიონთა საფლავებთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო უწყებამ რუსეთს, შვეიცარიის საელჩოს შუამავლობით, ოფიციალური ნოტა გაუგზავნა. ქართული მხარე ვსესვიატსკოეს სასაფლაოზე დაწყებული მშენებლობის აღკვეთას ითხოვს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ქართული მხარე შეეცდება, სრული ინფორმაცია მოიპოვოს, რა სამუშაოები მიმდინარეობს საფლავზე და იმ შემთხვევაში, თუ ეს დადასტურდა, მშენებლობების შეჩერების მოთხოვნით რუსულ მხარეს თხოვნით მიმართავს.

– ამის შემდეგ კი, მივმართავთ თხოვნით, დაისვას გადმოსვენების საკითხი. – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

არსებული ინფორმაციით, ბაგრატიონთა უძველეს საფლავს რუსეთში, დაბა ვსესვიატსკოეში საფრთხე ემუქრება. დარეჯან დედოფლის მიერ აგებულ ყველაწმინდას სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სულხან-საბა ორბელიანი და სხვა ქართველი მოღვაწეები არიან დაკრძალული, მოსკოველმა მაღალჩინოსნებმა უკანონო მშენებლობა აღმოაჩინეს. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ერთსართულიან ბეტონის ნაგებობებზე არავითარი სამშენებლო ნებართვა არ არსებობს. ტაძარი რუსეთის ფედერაციის დაცული ძეგლების ნუსხაშია, ამიტომ მოსკოვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტმა შენობების აღების გადაწყვეტილება მიიღო.

ტაძარი ვსესვიატსკოეში მეფე არჩილ მეორის ქალიშვილის, დარეჯან ბატონიშვილის ძალისხმევით 1733-1736 წლებში აშენდა.

# გულბაათ რცხილაძე: საქართველოს ხელისუფლება პროვოკაციულ პოლიტიკას ატარებს“

შორენა გონგლაძე

„ევრაზიის ინსტიტუტის“ სახელწოდებით მოღვაწე ქართულმა საექსპერტო-ანალიტიკურმა ცენტრმა სასტუმრო „ვერე პალასში“ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს – 9 აპრილს, მრგვალი მაგიდა გამართა, სადაც განხილულ იქნა უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მრგვალი მაგიდის მონაწილეებს შორის იყვნენ ცნობილი სპეციალისტები: სოციოლოგები ლევან მეტრეველი და ვალერიან გორგილაძე, გადამდგარი დიპლომატი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ჰამლეტ ჭიპაშვილი, თურქოლოგები, ყოფილი დიპლომატები – ზაურ მჭედლიშვილი და ვიქტორ ჭიკაიძე, პოლიტოლოგები და პუბლიცისტები – ნანა დევდარიანი, ხათუნა ლაგაზიძე, მამუკა არეშიძე, კოტე ჩიკვილაძე, გულბაათ რცხილაძე, დავით მხეიძე, ბადრი ნაჭყებია, ვალერი კვარაცხელია, პოლიტიკოსები – კახა კუკავა და ალეკო შალამბერიძე.

შეკრების ორგანიზატორის გულბაათ რცხილაძის განცხადებით, მრგვალი მაგიდის მონაწილეთა მსჯელობა აგებული იყო საკუთრივ „უსაფრთხოების“ ცნების სწორ ინტერპრეტაციაზე, რომელიც ასევე სწორად გასაგები „სახელმწიფო ინტერესების“ ცნებიდან გამომდინარეობს.

– ყოველივე ეს არ უნდა ავრიოთ ამჟამინდელი ხელისუფლების უსაფრთხოებასა და ინტერესებში. ქვეყნის უსაფრთხოება არ არის მარტო სამხედრო თავდაცვა ან კონტრდაზვერვა, უსაფრთხოება ფართო გეოპოლიტიკურ კონტექსტშია განსახილველი და პოლიტიკურ, სამხედრო, მაგრამ ასევე ეკონომიკურ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რელიგიურ-კულტურულ ფაქტორებს უკავშირდება. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, იგი ფეტიშად არ უნდა ვაქციოთ და სიმბოლოების – საკუთარი დროშის, ჰიმნის, პრეზიდენტის, მთავრობის და პარლამენტის ინსტიტუტების არსებობის დონეზე არ უნდა აღვიქვათ, დამოუკიდებლობას სჭირდება რეალური შინაარსით შევსება, იგი არ შეიძლება, იყოს თვითმიზანი. თუკი ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას და ერის რელიგიურ-კულტურული იდენტობის შენარჩუნებას წაადგება, საჭიროა თვით „ოკუპანტად“ აღქმულ მეზობელთან ურთიერთობების დალაგება და მასთან მწვავე საკითხების შემდგომ ეტაპზე განხილვა.

***– ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან რა პოზიცია გამოიკვეთა?***

– გამოიკვეთა ის, რომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება აუცილებელია ტერიტორიული საკითხის მოგვარებამდე, ვინაიდან ეს ეკონომიკურ განვითარებას სჭირდება, ასევე რუსეთთან ურთიერთობით



არ ზარალდება მართლმადიდებლური ცნობიერება ხალხში, რომელსაც დღეს გარკვეული წრეები გააფთრებით ებრძვიან.

***– რუსეთის მხრიდან საფრთხის არსებობა რამდენად რეალურია?***

– უშუალოდ სამხედრო საფრთხე რუსეთისგან, რასაკვირველია, მოსალოდნელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს მკვეთრად ანტირუსულ, პროვოკაციულ პოლიტიკას, განსაკუთრებით ნატო-ში ინტეგრირების ფორსირების მცდელობით. რუსეთი ამ შემთხვევაში საკუთარი თავდაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრევენციულ ზომებს მიიღებს. სხვა შემთხვევაში, რუსეთი არ არის დაინტერესებული, აგრესიული ღონისძიებები განახორციელოს საქართველოს მიმართ, რუსეთი ახლა სტატუს-კვოს შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველო არ უნდა შეეგუოს არსებულ სტატუს-კვოს და დიალოგის რეჟიმში უნდა ეცადოს პრობლემის მოგვარებას, რადგან რუსეთთან კონფრონტაციის გაგრძელებას პერსპექტივა არ აქვს. რუსული მხარეც წამოვა დიალოგზე, რადგან არც მას სურს კონფრონტაციის უსაზღვროდ გაგრძელება. დიალოგი ორივე მხარის ინტერესშია.

თუმცა განსხვავებული აზრიც გამოითქვა (მ. არეშიძე), რომელიც ეფუძნება მიმდინარე წლის რეალობასა და 2008 წლის რეალობას შორის პარალელების გავლებას, ახლაც და მაშინაც ადგილი აქვს ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს რუსეთში, ხოლო დიპლომატიური ფონი არანაკლებ მძიმეა.

მრგვალ მაგიდაზე აღინიშნა რუსეთში ქართული ლობის მოღვაწეობის აუცილებლობა, რაც დიდი ხნით ადრე უნდა დაწყებულიყო, საამისო სასტარტო შესაძლებლობები ქართველებს ძალიან უხვად ჰქონდათ. მაგრამ ფორმალურად დამოუკიდებელი საქართველოს არც ერთმა უმაღლესმა ხელისუფალმა ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგა, პირიქით, უფრო ამწვავებდა რუსეთთან ურთიერთობას.

***– არანაკლებ პრობლემური საკითხები წამოიჭრა თურქეთის მიერ საქართველოსთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის განხილვისას..***

– ეს მართლაც მნიშვნელოვანი თემაა, ამიტომაც, განსაკუთრებული ყურადღება შეკრებილმა პოლიტოლოგებმა თურქეთის გააქტიურებას მიაპყრეს. აღინიშნა, რომ ე. წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა თურქეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ მხოლოდ აისბერგის მწვერვალია, ხოლო თურქეთის ინტერესები გაცილებით ფართოა. თურქეთის რესპუბლიკა ცდილობს, რელიგიური ფაქტორი გამოიყენოს თავის საგარეო პოლიტიკაში, რაც მიუღებელია. ასევე მიუღებელია ჩარევა ე. წ. „თურქ მესხებთან“ დაკავშირებით, არადა, თურქეთი, პრემიერ-მინისტრ ერდოღანის სახით, საკმაოდ კატეგორიულად ითხოვს „ახისკელების“ (თურქულად მესხეთს „ახისკა“ ეწოდება) ჩასახლებას საზღვრისპირა ზონაში.

ამ ფონზე აშშ-ის „მეგობრული“ პოლიტიკა საქართველოს ბევრს არაფერს შველის. პირიქით, აშშ-ს გეგმები სირიისა და ირანის მიმართ პოტენციურად დიდ საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიის რეგიონს. გამომდინარე აქედან, კავკასიურმა სახელმწიფოებმა არ უნდა მისცენ საშუალება დასავლეთს, ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ანტისირიულ და ანტიირანულ ავანტიურაში.

# რუსთაველზე სახლი შეგნებულად დაწვეს?

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში თბილისის ცენტრალურ გამზირზე, რუსთაველზე ორი სახლი დაიწვა და ორი ადამიანი დაიღუპა. ორივე შემთხვევასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება ამ დრომდე არ დასრულებულა. აღნიშნულ სტატიას ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეტი“ ავრცელებს.**

შორენა გონგლაძე

რუსთაველის 14-ში ხანძარი 22 მარტს მოხდა, რუსთაველის 23-ში კი – 8 აპრილს. უკანასკნელი შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა და მას კორპუსის ბოლო სართულზე მცხოვრები ცოლ-ქმარი შეეწირა, მათი 11 შვილი კი გადარჩა. ხანძრის შედეგად, რომელიც 8 აპრილს, გამთენიისას, დაახლოებით 4 საათზე გაჩნდა, 28 ოჯახი დაზარალდა. მათი საცხოვრებელი სახლის ნარჩენებისგან თბილისის მერიის წარმომადგენლებმა ტერიტორია იმ დღესვე გაწმინდეს და იმავე დღეს გახდა ცნობილი ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ ადგილზე ახალი საცხოვრებელი კორპუსი აშენდება.

თუმცა, როგორც ირკვევა, თბილისის მერიის, ძველი თბილისის გამგეობის წარმომადგენლები აღნიშნულ კორპუსს ხანძრამდე ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე სტუმრობდნენ:

– „რატომღაც ისე დაემთხვა, რომ ორი კვირის წინ აქ ვიყავით შემოწმებაზე მოსულები. შენობის ზოგადი შესწავლა და დათვალიერება იყო,“ – უთხრა „ნეტგაზეთს“ ძველი თბილისის გამგებლის მოადგილემ ბესიკ ჯიმშელაძემ.

ხანძრისგან დაზარალებულები ამბობენ, რომ გაცილებით ადრე, დაახლოებით ერთი წლის წინ მათთან ინვესტორი მივიდა, რომელიც დაინტერესებული იყო რუსთაველის 23 ნომერში მდებარე შენობით, თუმცა საბოლოოდ მოსახლეობასთან პირობებზე შეთანხმება ვერ შედგა.

„დეველოპერებს და ინვესტორებს ბოლო წლებში ძალიან დიდი გამოცდილება დაუგროვდათ ქალაქის ცენტრალური უბნების ძველ ბინებში მცხოვრებლებთან ურთიერთობით. იციან, რომ ორივე მხარისთვის მისაღებ პირობებზე მოლაპარაკება რთულია. ასეთი ინციდენტების შემდეგ კი გაცილებით უმარტივდებათ ინვესტორებს საქმე,“ – ამბობს რუსთაველის №23-ში ხანძრის შედეგად დაზარალებული თეიმურაზ ბრეგაძე.

დაზარალებულები ამბობენ, რომ ხანძრამდე რამდენიმე დღით ადრე რუსთაველის №23-ში „თელასის“ წარმომადგენლებმა ძაბვის მომატების მიზნით ტრანსფორმატორი შეცვალეს, რის შემდეგაც კორპუსში ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო გაუარესდა. მოსახლეობას ეჭვი აქვს, რომ ხანძარი სწორედ ამან გამოიწვია.

„თელასში“ ადასტურებენ, რომ რუსთაველის №23-ში კომპანიის წარმომადგენლები მართლაც მივიდნენ და განახორციელეს სარემონტო სამუშაოები:

„ეს იყო გეგმური სარემონტო სამუშაოები, რომელიც ერთი კვირით ადრე ჩატარდა ხანძრამდე. შემოწმდა ყველაფერი, ტრანსფორმატორის ვარგისიანობა და ა.შ. დანარჩენს გამოძიება დაადგენს,“– აცხადებენ „თელასში“.

გამოძიება რუსთაველის №23 მომხდარი ხანძრის გამო სისხლის სამართლის კოდექსის



188-ე მუხლის მესამე პუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გაუფრთხილებლობით, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ზურაბ გვენეტაძე ნეტგაზეთთან საუბარში ამბობს, რომ წინასწარი ვარაუდით, ხანძარი ელექტროსადენებიდან გაჩნდა:

„თუმცა რეალურ მიზეზს გამოძიება დაადგენს,“– აცხადებს გვენეტაძე.

გამოძიება მიმდინარეობს რუსთაველის №14-ში მომხდარ ხანძართან დაკავშირებითაც. მოსახლეობის თქმით, ხანძრის მიზეზი, შესაძლოა, საცხოვრებელი სახლების ქვემოთ განთავსებული ფეხსაცმლის შეკეთების ჯიხურში დარჩენილი სანთელი იყო, თუმცა საბოლოო სიტყვა გამოძიებაზეა.

დაზარალებულ მოსახლეობას ეჭვი აქვს, რომ დროის მოკლე პერიოდში ქალაქის ცენტრალურ გამზირზე ზედიზედ ორი ხანძარი უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს.

რუსთაველის №14-ში, იტალიური ეზოში 22 მარტს მომხდარი ხანძრის შედეგად 100 კვ. მეტრი ფართობი დაიწვა და სამი ოჯახი საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა. დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა ყოფილი პარლამენტარი ვალერი გელაშვილი.

გელაშვილს ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს. მას საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობა 7 წლის წინ დაეძაბა, როდესაც ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტის და მისი ოჯახის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა. ამ ინტერვიუს შემდეგ 2005 წლის 14 ივლისს გელაშვილს უცნობი პირები დაესხნენ თავს და სასტიკად სცემეს. თუმცა ინტერვიუმდე გელაშვილსა და მოქმედ ხელისუფლებას შორის ფინანსური დავა იყო პრეზიდენტის რეზიდენციის ტერიტორიაზე გელაშვილის საკუთრებაში არსებული სახლის გამო, რომელშიც, ამ უკანასკნელის თქმით, ხელისუფლებამ სრულად არ გადაუხადა მას ის თანხა, რაზეც იყო შეთანხმება. 2006 წლის მარტში კი თბილისის მერმა გიგი უგულავამ ეჭვი გამოთქვა, რომ თბილისის №84 საჯარო სკოლაში გაჩენილი ხანძრის უკან ვალერი გელაშვილის ბიზნესკომპანიის ინტერესი იდგა. ამის შემდეგ გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტეს.

რუსთაველის 14-ში, დამწვარი ბინების ადგილას ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც მშენებლობის ზადამხედველი ამბობს, სარემონტო სამუშაოების საფასურს ვალერი გელაშვილი ფარავს.

რუსთაველის 24-ში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულებს თბილისის მერიაში ჰპირდებიან, რომ ახალი სახლი, რომელიც მათი ძველი კორპუსის ადგილზე უნდა აშენდეს, გაცილებით უკეთესი შენობა იქნება:

„ეჭვი მაქვს საფუძვლიანი, რომ ამ ადგილას მაღალსართულიან შენობას ააშენებენ. მით უმეტეს, შენობების აშენების პრაქტიკა არის უკვე რუსთაველზე. ძალიან არ მესიამოვნება, რომ აქ ამაზე დიდი კორპუსი აშენდეს,“– ამბობს რუსთაველის №23-ში ხანძრის შედეგად დაზარალებული თეიმურაზ ბრეგაძე.

პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა აშენდეს ახალი კორპუსი, ჯერ არ არსებობს, თუმცა „თბილისის განვითარების ფონდში“ ირწმუნებიან, რომ პროექტს მომავალ კვირაში აუცილებლად წარადგენენ.

იმის გამო, რომ რუსთაველის 23 ნომერში მდებარე სახლი სარეაბილიტაციო შენობა-ნაგებობათა ნუსხაში შედის, სამშენებლო სამუშაოებს „თბილისის განვითარების ფონდი“ განახორციელებს.

„სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი არ გამოცხადდება. როგორც ალმაშენებლის რეაბილიტაციის დროს, ამ შემთხვევაშიც სამუშაოებს „თბილისის განვითარების ფონდი“ განახორციელებს,“ – აცხადებენ მერიის პრესსამსახურში.

დაზარალებულ ოჯახებს გუშინ, 10 აპრილს, „თბილისის განვითარების ფონდში“ ხელშეკრულებები დაახვედრეს, რომლის მიხედვით, 2012 წლის 31 დეკემბრამდე ფონდი თითოეულ ოჯახს ყოველთვიურად საცხოვრებლის დასაქირავებლად 400 ლარს გადაუხდის.

2012 წლის ბოლოდან კი, ხელშეკრულების თანახმად, ფონდმა მესაკუთრეები ძველ მისამართზე (რუსთაველის 23-ში) გაუმჯობესებული საცხოვრებელი ბინებით უნდა უზრუნველყოს.

# პუტინი ოსებსა და აფხაზებს აქეზებს

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან**

***– ბატონო ნოდარ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალის რეგიონში გამართულ ე.წ. არჩევნებში (რომელშიც გაიმარჯვა თიბილოვმა) საქართველოს ხელისუფლების ორგანიზებით (კერძოდ კი, ჩოჩელის ხელმძღვანელობით) ხმის მისაცემად ცხინვალის რეგიონიდან დევნილი და წეროვანში დასახლებული ადამიანები თიბილოვისთვის ხმის მისაცემად ჩაიყვანეს. თურმე დევნილები სხვა კანდიდატებისთვის ხმის მისაცემადაც მიჰყავდათ. ახლა კი მათ უშიშროება იბარებს და დაკითხვას უწყობს. რას ნიშნავს ეს და როგორ შეიძლება შეფასდეს ხელისუფლების ასეთი ქმედება?***

– თუ გავითვალისწინებთ იმას, იმ „არჩეულმა კაცმა“ განაცხადა, რომ ყოველთვის იქნება რუსეთში ინტეგრაციის მომხრე, სანამ პირში სული უდგას, მაშინ ეს არის საქართველოს ხელისუფლების უმინარევო, წმინდა წყლის ღალატი, ანუ ღალატია თავისი მიმართულებითაც და თავისი ფორმითაც. ე.ი. დაუშვეს, რომ უკანონო, თვითმარქვია, ვიღაც მამაძაღლების არჩევნებში ქართველი კანონიერი მოსახლეობა წაიყვანეს და მონაწილეობა მიაღებინეს. ამდენად, ორივენაირი ღალატია. იურიდიულიც და ორიენტაციის მხრივაც.

***– ბატონო ნოდარ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცხინვალის რეგიონიდან დევნილები იქ გამართულ ე.წ. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გარკვეული მოსაზრებით წაეყვანათ? მოგეხსენებათ, ყველა ხელისუფლება ცდილობს თავის სიახლოვეს გარკვეული გავლენების მოპოვებას, მით უმეტეს, ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ქვეყნის ნაწილია და ხელი შეუწყოს კონკრეტული პიროვნების მოყვანას, რომელიც მათთვის მისაღებია. ასეთი რამის დაშვება შესაძლებელია?***

– ამის დაშვება შეუძლებელია. ვერანაირი მსგავსი მოსაზრებები ვერ გადაწონის პრინციპებს. მით უმეტეს, რომ ხვალ, ზეგ, 100 წლის შემდეგ, ღმერთმა დაგვიფაროს, თუ ვერ გადავწყვიტეთ ეს პრობლემა, ჩვენს მოწინააღმდეგეს ექნება სათქმელი, აი, ქართველმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღო ამ არჩევნებში, მაშასადამე, ეს არჩევნები ყოფილა კანონიერი. მეორეც – არანაირი შანსი არ არსებობს დღეს, საქართველოს ამ მარიონეტულმა ხელისუფლებამ ვიღაც რომ მიიმხროს რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. არა მხოლოდ პრაქტიკულად არ არსებობს შანსი, არამედ თეორიულადაც კი.

***– საქართველოს ხელისუფლება ამგვარ მოქმედებებში ადრეც იყო შემჩნეული. ის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე ე.წ. საარჩევნო პროცესებში უაზროდ რთავს ხოლმე იქ მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას (გახმოვანდა, რომ ახლა დევნილი მოსახლეობა ჩართო). ალბათ გახსოვთ, პარლამენტმა უკანონოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია რომ შექმნა და სანაკოევი დასვეს. მაშინაც მისი ე.წ. არჩევნების დროს***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ვახტანგ მაჭავარიანი საზეიმო კონცერტს უდირიჟორებს

ეკა ირემაშვილი

**12 აპრილს რუსთაველის თეატრში საზეიმო კონცერტი გაიმართება, რომელიც გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მე–20 წლისთავს ეძღვნება. ღონისძიების ორგანიზატორები არიან საქართველოში გერმანიის საელჩო და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი „ოპერის მეგობართა საბჭოს" მხარდაჭერით.**



საზეიმო კონცერტში მონაწილეობენ – ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი, ცნობილი გერმანელი მომღერალი ბრიგიტე ვოლფარტი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი. საღამოზე შესრულდება რიჰარდ ვაგნერის უვერტიურა ოპერიდან „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები", ნაწყვეტები ოპერებიდან „ლოენგრინი", „ტრისტანი და იზოლდა" და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია.

მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი საქართველოში სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოვიდა და ოპერისა და ბალეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უწყვეტ რეპეტიციებს გადის. რაც შეეხება გერმანელ მომღერალს ბრიგიტე ვოლფარტს, იგი საქართველოში უკვე მესამედ ჩამოვა. მისი დებიუტი თბილისში სწორედ ვახტანგ მაჭავარიანის ინიციატივით შედგა 2003 წელს, როცა ბრიგიტე ვოლფარტმა საკონცერტო ვერსიაში „ტრისტანი და იზოლდა" მთავარი პარტია შეასრულა.

– ბრიგიტე ვოლფარტი საკმაოდ წარმატებული მომღერალია. ის საქართველოს უკვე მესამედ ესტუმრება. ბრიგიტე ვოკალის ფაკულტეტზე ვიურცბურგში სწავლობდა, იყო რიჰარდ ვაგნერის კავშირის და ლენი გაისლერის ფონდის სტიპენდიატი, მიღებული აქვს ასევე ბავარიის მხარის სახელმწიფო სტიპენდია. თავდაპირველად მისი კარიერა ორიენტირებული იყო საკონცერტო სიმღერაზე – იგი მონაწილეობდა რაინგაუს ფესტივალში, ვაილბურგის კონცერტებში, ბად ურახის საერთაშორისო სამუსიკო დღეებში, ცენტრალური ევროპის ფესტივალში, ბრეგენცის ფესტივალსა და ბევრ სხვა მსგავს ღონისძიებაში. ცნობილი სოპრანო ასევე მიწვეული იყო საერთაშორისო ტურნეებში საორკესტრო და სასიმღერო საღამოებში მონაწილეობის მისაღებად ცნობილ დირიჟორებთან და ორკესტრებთან ერთად, მათ შორის მილანში, რომში, ბოლცანოში, ტრიესტში, მიუნხენში, ზალცბურგში, ბერლინში, თბილისში, ბელგრადში, ასევე საფრანგეთში, ფინეთში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, სინგაპურსა და ავსტრალიაში.

ამას მოჰყვა პირველი სტუდიური ჩანაწერები – ლუის შპორის „ფაუსტი", ბრაუნფელსის „ფრინველი", რომელიც ნომინირებული იყო გრემის მე-40 დაჯილდოებაზე, ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია, გრიგორ ფრიდის „ანა ფრანკის დღიური". მისი საოპერო კარიერა დაიწყო მიუნხენის ნაციონალურ თეატრში მონო ოპერით „ანა ფრანკის დღიური" 1993 წელს. ბრიგიტე ვოლფარტმა ჯეიმს კინგთან მასტერკლასიც გაიარა. როგორც ბერტელსმანის კონკურსის „ახალი ხმების" წარმატებულ ფინალისტს, ბრიგიტე ვოლფარტს იმავე წელს ბრაუნშვაიგის სახელმწიფო თეატრში როსინის ოპერაში „ოტელო" დეზდემონას როლი მისცეს. 1997 წლიდან იგი ამ თეატრის დასის სრულუფლებიანი წევრი გახდა. იგი მღეროდა ასევე შტუტგარდტში, ფრანკფურტში, ბერლინში, მიუნხენში (პრემიერა – ბეთჰოვენის „ლეონორა"), ლონდონში და მაინინგენში, სადაც მან დიდი ყურადღება მიიქცია ვაგნერის ოპერებში ზიგლინდასა („ვალკირია") და გუტრუნას („ღმერთების დაცემა") როლების შესრულებისას. მისი რეპერტუარი მდიდარია საოპერო პარტიებით – მოცარტის ფიორდილიჯი და პირველი ქალბატონი, პუჩინის ტურანდოტი, ვერდის აიდა და ლეონორა, ვაგნერის ელიზაბეტა, ელზა, იზოლდა, ვებერის აგატა, ბეთჰოვენის ლეონორა, შტრაუსის არაბელა, სალომეა, არიადნა და ელექტრა. ბრიგიტე ვოლფარტი 2010 წლიდან ბერნის ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორია, – აღნიშნა ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა.

**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:**

– სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოვედი საქართველოში და კიდევ ერთი კონცერტი მაქვს. ორკესტრთან უწყვეტ რეპეტიციებს ვატარებ, კონცერტამდე ცოტა დრო დარჩა.

***– მეორე კონცერტი როდის გაქვთ?***

– 22 აპრილს გავმართავთ კონცერტს ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე" ფარგლებში, რომელიც ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე წლებია ტარდება.

***– რას შეასრულებთ გერმანია-საქართველოს ურთიერთობების 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე?***

– ეს კონცერტი ეძღვნება საქართველო-გერმანიის ურთიერთობას. გერმანიის საელჩო საქართველოში გაიხსნა 20 წლის წინ, ამიტომ გენიალური ბეთჰოვენის და ვაგნერის ნაწარმოებები შესრულდება. კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულდება რიჰარდ ვაგნერის უვერტიურა ოპერიდან „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები", ნაწყვეტები ოპერებიდან „ლოენგრინი", „ტრისტანი და იზოლდა", ამ ოპერიდან შესავალს და სიკვდილის სცენას შევასრულებთ. მეორე განყოფილებაში კი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიას ავაჟღერებთ.

***– რას იტყვით ამ კონცერტის სტუმარ მომღერალზე ბრიგიტე ვოლფარტზე?***

– პირველად მე ჩამოვიყვანე ბრიგიტე ვოლფარტი საქართველოში, როდესაც საკონცერტო შესრულებით გავაკეთეთ „ტრისტანი და იზოლდა" 2003 წელს. იზოლდა ვამღერე მაშინ, ახლა ის საქართველოში უკვე მესამედ ჩამოდის.

***– მოეწონა ქართველი მსმენელი?***

– რა თქმა უნდა. პირველ ჩამოსვლაზე საკმაოდ სერიოზული პარტია იმღერა. მეორე ჩამოსვლაზე მიიღო მონაწილეობა კონცერტში, სადაც შტრაუსის მუსიკა სრულდებოდა.

***– 22 აპრილს რას უდირიჟორებთ?***

– ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე" შევასრულებთ ბეთჰოვენის „კორიოლანს", ალექსი მაჭავარიანის №6 სიმფონიას „პრომეთე" და რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტს, რომელსაც დაუკრავს გიორგი ვაჩნაძე. ამ კონცერტზე უწმინდესის ნაწარმოებიც შესრულდება, მაგრამ მას მე არ ვდირიჟორობ.

***– როდემდე დარჩებით საქართველოში?***

– 22-ში ვიდირიჟორებ საფესტივალო კონცერტს და 23 აპრილს წავალ.

***– როგორია თქვენი საერთაშორისო გეგმები?***

– საკმაოდ გადატვირთული. ბევრი კონცერტია დაგეგმილი და მათში ვიღებ მონაწილეობას, შემოქმედი ადამიანისთვის კი ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

# გიგო გაბაშვილის ფოტოგრაფია ალბომად აიკინძა

ეკა ირემაშვილი

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გიგო გაბაშვილის ფოტოალბომის პრეზენტაცია შედგა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ წარმოადგინა.

– ქართველი ფერმწერი გიგო გაბაშვილი ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთ ფუძემდებლად არის მიჩნეული. იგი თბილისში კეპენის კერძო სამხატვრო სკოლაში სწავლობდა, თანამშრომლობდა ბატალისტ რუბოსთან, რომელიც თბილისის სამხედრო-ისტორიული მუზეუმისათვის ხატავდა სურათებს. მოგვიანებით ქართველმა მხატვარმა სწავლა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა. თავისი პროფესია განიმტკიცა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაშიც. გიგო გაბაშვილმა იმოგზაურა შუა აზიაში, საიდანაც ჩამოიტანა მრავალი ჩანახატი და ეტიუდი, რომლებიც შემდეგ სურათებისათვის გამოიყენა. იყო იტალიასა და საბერძნეთში. სამხატვრო ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. მისი პერსონალური გამოფენა თბილისში გაიხსნა. გიგო გაბაშვილის შემოქმედების აყვავების პერიოდია XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის პირველი წლები. მისი, როგორც შემოქმედის, ჩამოყალიბებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთი მხრივ, ქართველ სამოციანელთა მოწინავე იდეებს, მეორე მხრივ, – XIX საუკუნის II ნახევრის რუსულ რეალისტურ მხატვრობას. მან ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა საბოლოოდ ევროპული მხატვრობის ფორმები ჩვენში, იდეურთემატიკურად გააფართოვა და რეალურ ცხოვრებას დაუკავშირა ქართული მხატვრობა, – განაცხადა ალბომის პრეზენტაციაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

გიგო გაბაშვილი მუშაობდა ზეთის საღებავებით, აკვარელით, აქვს კალმით ნახატებიც. მისი ნამუშევრების თემატიკა მრავალფეროვანია. მან შექმნა მთელი სერია ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტებისა, შესრულებული აქვს ავტოპორტრეტი, არისტოკრატიის წარმომადგენელთა ტიპიზებული პორტრეტები, სხვადასხვა სოციალური ფენისა და კუთხის წარმომადგენელთა სახეები.

– გიგო გაბაშვილი არის პიონერი ქართული ჟანრული და ბატალური მხატვრობისა, პეიზაჟისა, ნატურმორტისა. ცალკე დგას მისი შუააზიური ციკლი. მისი ნამუშევარი „ბაზარი სამარყანდში" გაიყიდა ნიუ-იორკის ქრისტის აუქციონზე 1 მილიონ 136 ათას დოლარად. დღემდე არც მყიდველი და არც გამყიდველი ცნობილი არ არის. გიგო გაბაშვილმა ხელი შეუწყო ახალი ქართული მხატვრობის პროფესიული დონის ამაღლებას, პირველმა დაამკვიდრა მხატვრობაში თანამედროვე ცხოვრების მიერ შთაგონებული ეროვნული თემატიკა, საფუძველი ჩაუყარა ძირითადი ფერწერული ჟანრები განვითარებას ქართულ მხატვრობაში. მისი საუკეთესო ნამუშევრები დიდი ფერწერული ოსტატობითა და ცხოველი კოლორიტით გამოირჩევა. მის რეალისტურ ხელოვნებას დიდი ადგილი უჭირავს ქართული კულტურულ მემკვიდრეობაში, – აღნიშნა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ.

გიგო გაბაშვილი ადრევე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თბილისში დააარსა სამხატვრო სტუდია, ასწავლიდა „ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი კავკასიის საზოგადოების" ხატვის სკოლაში, იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პროფესორი.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა სარედაქციო ჯგუფი, მომზადდა ფოტოალბომის კონცეფცია და ორიგინალური დიზაინი, რომელიც დიზაინერ მანანა არაბულს ეკუთვნის. არტ-გამოცემა „გიგო გაბაშვილი" პროექტის ფარგლებში აღმოჩენილ ფოტოებს და შემდეგ ამ ფოტოსურათების მიხედვით მოძიებულ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს აერთიანებს.

ფოტოალბომის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ცხადაძე, კულტურის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სარედაქციო ჯგუფის წევრები და მოწვეული სტუმრები.

– პროექტის „გიგო გაბაშვილი – ფოტოგრაფი" პრეზენტაციის შემდეგ ბეჭდურ გამოცემაში პირველად ქვეყნდება გიგო გაბაშვილის 101 ფოტო, რომელმაც ჩვენამდე მინის ნეგატივების სახით მოაღწია. მათი პირობითი დათარიღება ბიოგრაფიული ცნობებისა და გრაფიკული ნამუშევრების

გაგრძელება მე-10 გვერდზე


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ღამის ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 598-24-40-90; 557-41-60-91 დათო.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

# დილამ ფინალისკენ გაიხედა

## გაგრა – დილა 1:2

**თბილისი. მიხეილ მესხი**

*1:0 ჯერემია (20), 1:1 ვაწაძე (63), 1:2 ვაწაძე (82)*

**გაგრა:** ბეგაშვილი, ჯგერენაია, ტყეშელაშვილი, ხუციძე, კობერიძე (ყიფიანი 72), ჭკუასელი (კვანტალიანი 78), ნიკოლოზ ჯიშკარიანი, ყურულაშვილი, ჯერემია, სარდალიშვილი, ზვიადაძე (ხოჯაშვილი 68)

**დილა:** სკენდერი, მეგრელიშვილი, ინწკირველი, სალუქვაძე, ალადაშვილი, კაშია, ბეჭვაია, ლექვთაძე (ნ.ნოზაძე 90), ხოჯავა (ახალკაცი 73), კახელიშვილი (ს.გურული 57), ვაწაძე



მატჩი გორელთა უპირატესობით დაიწყო. ისინი განსაკუთრებით ფლანგებიდან აქტიურობდნენ, სადაც მეტოქის მცველებს გასაქანს კახელიშვილი და ლექვთაძე არ აძლევდნენ. კარგად გამოიყურებოდა ხოჯავაც, რომელიც ზუსტი და მწვავე პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „დილა" ადვილ გამარჯვებას მოიპოვებდა.

გასაკვირად კი, პირველი ტაიმი „გაგრამ" მოიგო. მე-20 წუთზე ინწკირველმა, საკმაოდ ახლოდან მიაწოდა მეკარე სკენდერს. გამოცდილ ხორვატს ბურთი რომ უმალ მოეშორებინა, არაფერიც არ მოხდებოდა, მაგრამ მან ჯერემიას ფინტით მოტყუება ისურვა. ნიგერიელი მიუხვდა ჩანაფიქრს და ვარდნაში ბურთზე ფეხი მიურტყა, რის შემდეგ კარში აღმოჩნდა – 1:0.

ამ მომენტამდე ხუთიოდე წუთით ადრე, მატჩის არბიტრს „გაგრას" საჯარიმოში გოჩა ხოჯავას წაქცევისთვის პენალტის დანიშვნა შეეძლო, მაგრამ...

შესვენების შემდეგ შიდაქართლელთა მწვრთნელმა სიტუაციის გამოსწორება შეცვლებით სცადა და მოიგო კიდეც. პირველი სანდრო გურული ჩაერთო თამაშში და „დილას" შეტევის მარცხენა ფლანგი უფრო მობილური გახდა. გურულის მინდორზე შესვლის შემდეგ, ლექვთაძემ მარჯვნივ გადმოინაცვლა და „გაგრას" ფეხბურთელები ველარ აუდიოდნენ მეტოქის საოცრად გამწვავებულ შემოტევებს.

გორელებმა საპასუხო გოლი 63-ე წუთზე გაიტანეს – მარცხენა ფლანგიდან ხოჯავას მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ვაწაძემ თავი დაჰკრა და გაათანაბრა – 1:1.

ორიოდე წუთში მარჯვენა ფლანგზე ბურთი ალადაშვილმა და ლექვთაძემ გაითამაშეს, რასაც საჯარიმოში ჩაწოდება და ვაწაძის მორიგი თავური მოჰყვა – მეკარემ ბურთზე ხელის წაკვრა მოასწრო და რის შემდეგ მრგვალი სფერო ხარიხამ აისხლიტა.

მიუხედავად იმისა, რომ გორელებს ფრეც აკმაყოფილებდათ, თემურ შალამბერიძემ მოგებაზე ითამაშა და საქმეში უკვე გამოცდილი რომან ახალკაციც ჩართო, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა ქვემოქართლელთა შეტევები და გოლიც გავიდა. 82-ე წუთზე ახალკაცის მიერ მარჯვენა ფლანგიდან გაკეთებულ მაღალ პასს ვაწაძემ თავი მეორედ დაჰკრა საგოლედ – 1:2.

საპასუხო მატჩისთვის, რომელიც 18 აპრილს, გორის განახლებულ სტადიონზე გაიმართება, „დილა" ფინალის საგზურის მოპოვების უპირობო ფავორიტის რანგში წარდგება.

### მატჩის შემდეგ

**თემურ შალამბერიძე, დილას მთავარი მწვრთნელი:**

– ვიცოდით, რომ ძალიან ძნელი თამაში გვექნებოდა. თავიდანვე ისეთი დასანანი გოლი მივიღეთ, რომ ცოტა ვინერვიულე კიდეც – დავეჭვდი, შევძლებდით თუ არა ამ თამაშის გადარჩენას. საბედნიეროდ, ბიჭებმა საბრძოლო ჟინი გამოავლინეს და თამაში ჩვენს სასარგებლოდ შემოატრიალეს.

**ზვიად ჯელაძე, გაგრას მწვრთნელი:**

– ორივე გაშვებული გოლი, დაცვაში უხეშმა შეცდომებმა და მათე ვაწაძის, საქართველოში საუკეთესო თავდამსხმელის მაღალმა სათამაშო კლასმა განაპირობა. ვთვლი, რომ სანახაობრივად კარგი თამაში გამოვიდა. ალბათ ხედავთ, როგორი ახალგაზრდული გუნდი გვყავს. სწორედ ეს მაძლევს იმის იმედს, რომ ჩვენ საპასუხო მატჩშიც ბოლომდე ღირსეულად ვიბრძოლებთ და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლადაც.

## ზესტაფონი – მეტალურგი 1:1

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

*0:1 სიხარულიძე (37), 1:1 დვალი (40)*

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ღონღაძე, გ.ონიანი. საჯაია (კობახიძე 76), ელიავა, მენთეშაშვილი, თ.გორგიაშვილი (შარიქაძე 63), შ.გრიგალაშვილი, აფციაური, დ.მუჯირი (ოვონიკოკო 71), დვალი

**მეტალურგი:** ბათიაშვილი, ი.სიხარულიძე (ტატანაშვილი 80), ს.თოდუა (დობროვოლსკი 62), ქავთარაძე, გავაშელიშვილი, გ.სეთურიძე, რაზმაძე, გ.კვარაცხელია, თექთურმანიძე (ჭედია, 69), ი.მაისურაძე, ჯაფარიძე

მატჩს ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა. „ზესტაფონს" აკლდა შოთა ბაბუნაშვილი, გოგა ბერაია და დისკვალიფიცირებული დავით რაჟამაშვილი, ხოლო „მეტალურგს" გეწაძე სიცხის გამო. თამაში ლურჯმაისურიანი ფორმით მოასპარეზე „ზესტაფონლებმა" დაიწყეს. საწყის წუთებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ორივე გუნდის ფეხბურთელები ცდილობდნენ ბურთი დიდხანს შეენარჩუნებინათ და თამაში საკუთარი კარნახით წარემართათ. ძირითადად მომენტები სტანდარტულებიდან იქმნებოდა და პირველი გოლიც ზესტაფონელთა კართან ჩაწოდებული კუთხურის გაგრძელებას მოჰყვა. რუსთაველმა მე-10 ნომერმა გიორგი თექთურმანიძემ შესანიშნავი დრიბლინგი განახორციელა ზესტაფონელთა საჯარიმოში და ბურთი ირაკლი სიხარულიძეს გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი არ დააყოვნა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ თამაშის ტემპმა მოიმატა და ზესტაფონლები შეეცადნენ გოლი გაექვითათ, მონდომებამ არ დააყოვნა და ხუთ წუთში ჯაბა დვალმა ეფექტური გოლი გაიტანა. მატჩის პირველ ტაიმში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა და გუნდები შესვენებაზე ამ ანგარიშით გავიდნენ – 1:1

მეორე ტაიმი მარგველებმა უფრო ყურადღებიანად და მონდომებით დაიწყეს. მოედნის უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ გამოყენება ვერ შეძლეს. მომენტების შექმნა კი ხდებოდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე არ ყოფნიდათ. ძალიან უნდოდათ კიდევ ერთი გოლი გაეტანათ ფეროელებს, რათა განმეორებით მატჩი დამშვიდებულებს ეთამაშათ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

18 აპრილს კი დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების ნახევარფინალური სტადიის განმეორებით მატჩს რუსთავი უმასპინძლებს.

# ტორპედოს ევროსაგზურის შანსი გაუჩნდა

## ტორპედო – მერანი 2:0

**ქუთაისი. ცენტრალური**

*1:0 საბანაძე (37), 2:0 ბოლქვაძე (86)*

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, იოსელიანი, გამეზარდაშვილი, კვახაძე, გ.გურული, დიღმელაშვილი, დათუნაიშვილი, საბანაძე (დ.ჯანელიძე 88), დოლიძე (კუხიანიძე 72), თარხნიშვილი, გოცირიძე (ვ.ბოლქვაძე 62)

მერანი: შეროზია, ჟვანია, იობაშვილი, მელიავა, სუხიაშვილი, დიდავა, ე.გრიგალაშვილი, ვართაგავა (წოწორია 65), ამბროლაძე (ფონიავა 59), ტორონჯაძე (ბოხუა 73), ტაპე

პირველი ტურის გამოტოვებულ შეხვედრას ქუთათურები უეფას საგზურის მოპოვების განწყობით შეხვდნენ, მარტვილელებმა კი თავად არ იციან რა სურთ. თუ ერთ მატჩს აღმაფრენით ჩაატარებენ, მერე რამდენიმეს ჩააგდებენ. პრინციპში, თავისი საქმე გაკეთებული აქვთ და მაინცდამაინც თავს არ იკლავენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მომენტებიც მრავლად შექმნეს, თუმცა მათგან მხოლოდ 2-ის რეალიზება მოახდინეს.

37-ე წუთზე თარხნიშვილმა მარცხენა ფლანგიდან ცენტრისაკენ გადაინაცვლა და დიაგონალური პასით შეტევაში დოლიძე ჩართო, რომელმაც ერთი მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოში საბანაძე შენიშნა, რომელმაც ერთი შეხებით, ბურთი მეტოქის კარში გადაგზავნა – 1:0.

ტორპედოელებს შეტევები არც მეორე ტაიმში შეუწყვეტია. ხუთწუთიან მონაკვეთში დათუნაიშვილს სამჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ თუ პირველ ორ შემთხვევაში, ტორპედოელთა ნახევარმცველს სამიზნემ უმტყუნა, ხოლო მესამეჯერ, მისი დარტყმა შეროზიამ აკრობატულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

ქუთათურებმა მაინც გაიტანეს – 86-ე წუთზე მარტვილელები საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაჯარიმდნენ. სტანდარტულის შესრულება ახალშემოსულმა ბოლქვაძემ ითავა და ამოცანას თავი ჩინებულადაც გაართვა. მისი ძლიერად დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს შემოევლო და მეკარისგან შორეულ ცხრიანში გაეხვია – 2:0.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 20 | 11 | 6 | 3 | 34:18 | 39 |
| 2.მეტალურგი | 20 | 11 | 3 | 6 | 29:23 | 36 |
| 3.ტორპედო | 20 | 9 | 5 | 6 | 23:17 | 32 |
| 4.დინამო | 20 | 7 | 8 | 5 | 33:26 | 29 |
| 5.დილა | 20 | 6 | 6 | 8 | 24:23 | 24 |
| 6.კოლხეთი | 20 | 5 | 8 | 7 | 16:23 | 23 |
| 7.ბაია | 20 | 5 | 6 | 9 | 17:26 | 21 |
| 8.მერანი | 20 | 4 | 2 | 14 | 18:38 | 14 |

**ბომბარდირები:** ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 16 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 12; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 10; რევაზ გოცირიძე (ტორპედო) – 9.

# საქართველო დაეშვა

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრებს ბოლო ერთი თვის მანძილზე არ უთამაშია, ფიფა-კოკა-კოლას ახალ რეიტინგში 21 საფეხურით დაქვეითდა და ახლა 95-ე ადგილზეა. ამის მიზეზი შარშან მარტში ხორვატიასთან (1:0) მოგებულ მატჩში კოეფიციენტის მნიშვნელოვნად შემცირებაა.

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეებიდან 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ვარდნა არცერთ გუნდს არ განუცდია. ესპანეთი ისევ პირველია, ხოლო საფრანგეთი – მე-16. ბელარუსი 68-ე პოზიაციაზე და ერთი ადგილით წინ წაიწია, ხოლო ფინელები 5 ადგილით დაწინაურდნენ და ახლა 79-ე პოზიცია უჭირავთ.

საუკეთესო ათეულში რამდენიმე ცვლილებაა: ურუგვაიმ მესამე ადგილზე აინაცვლა, მეორეზე გერმანიაა, ხოლო ჰოლანდია მეორედან მეოთხეზე ჩამოქვეითდა. ათეულში შევიდა დანია, რომელმაც იქიდან იტალია გამოაძევა.

ათეული კი ასე გამოიყურება: 1.ესპანეთი – 1442 ქულა; 2.გერმანია – 1345; 3.ურუგვაი – 1309; 4.ჰოლანდია – 1207; 5.პორტუგალია – 1190; 6.ბრაზილია – 1165; 7.ინგლისი – 1132; 8.ხორვატია – 1114; 9.დანია – 1069; 10.არგენტინა – 1066.

# ბასილაიამ ედინბურგთან კონტრაქტი გააფორმა

დიმიტრი ბასილაიამ „ედინბურგთან" ოფიციალურად გააფორმა ხელშეკრულება. ქართველ მორაგბესა და შოტლანდიურ კლუბს შორის სიტყვიერი შეთანხმება არსებობდა, რომ მომავალი სეზონიდან ბასილაია, შოტლადიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გადავიდოდა, ახლა კი ეს შეთანხმება ქაღალდზე რატიფიცირდა.



26 წლის ბასილაია ფოთის სარაგბო სკოლის აღზრდილია, საქართველოს ნაკრებში პირველად 2008 წელს გამოჩნდა და თავი განსაკუთრებით კარგად წარმოაჩინა 2011 წლის მსოფლიოს თასზე, სადაც ოთხიდან სამ თამაშში 8 ნომრის პოზიციაზე შეუცვლელად ითამაშა და ინგლისის ნაკრებს ეფექტური ლელო დაუდო.

ბასილაიას უცხოური საკლუბო კარიერა საფრანგეთის რანგით მესამე დივიზიონის, ფედერალ ერთის გუნდებში აქვს გატარებული. ახლა იგი „ვალანს დაჟენში" თამაშობს და თავდაპირველად ამ კლუბს არ სურდა მისი „ედინბურგში" გაშვება, მაგრამ ბოლოს დათანხმდა.

„ედინბურგი" ბასილაიასთვის სულ სხვა დონეზე თამაშს ნიშნავს. ეს შოტლანდიის ორი საუკეთესო გუნდიდან ერთ-ერთია და რეგულარულად თამაშობს ევროტურნირებზე.

„ედინბურგმა" რამდენიმე დღის წინ სენსაცია მოახდინა, როდესაც „ჰეინეკენის თასის" მეოთხედფინალიდან გააგდო ფრანგული გრანდი „ტულუზი" და ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის ნახევარფინალში გავიდა, რაც შოტლანდიური კლუბებისთვის ისტორიული მიღწევაა.

შოტლანდიურ გუნდს წვრთნის ირლანდიელი სპეციალისტი მაიკლ ბრედლი, რომელიც 2011 წელს რიჩი დიქსონის ასისტენტად მუშაობდა საქართველოს ნაკრებში და ბასილაიას ძლიერ გუნდში გადასვლაც მისი დამსახურებაა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბლექბერნი-ლივერპული ............ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 32 | 25 | 4 | 3 | 78:27 | 79 |
| 2.სიტი | 32 | 22 | 5 | 5 | 75:26 | 71 |
| 3.არსენალი | 32 | 19 | 4 | 9 | 63:41 | 61 |
| 4.ტოტენჰემი | 33 | 17 | 8 | 8 | 57:38 | 59 |
| 5.ნიუკასლი | 33 | 17 | 8 | 8 | 50:42 | 59 |
| 6.ჩელსი | 33 | 16 | 9 | 8 | 56:38 | 57 |
| 7.ევერტონი | 33 | 13 | 8 | 12 | 38:34 | 47 |
| 8.ლივერპული | 33 | 12 | 10 | 11 | 40:36 | 46 |
| 9.ფულემი | 33 | 11 | 10 | 12 | 43:43 | 43 |
| 10.ნორვიჩი | 33 | 11 | 10 | 12 | 46:52 | 43 |
| 11.სანდერლენდი | 33 | 11 | 9 | 13 | 42:41 | 42 |
| 12.სტოკი | 33 | 11 | 9 | 13 | 32:45 | 42 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 11 | 6 | 15 | 39:43 | 39 |
| 14.სუონსი | 32 | 10 | 9 | 13 | 35:41 | 39 |
| 15.ასტონ ვილა | 32 | 7 | 14 | 11 | 35:44 | 35 |
| 16.ბოლტონი | 32 | 9 | 2 | 21 | 36:65 | 29 |
| 17.ქპრ | 32 | 7 | 7 | 18 | 35:56 | 28 |
| 18.ბლექბერნი | 33 | 7 | 7 | 19 | 45:70 | 28 |
| 19.უიგანი | 32 | 6 | 10 | 16 | 30:57 | 28 |
| 20.ვულვზი | 32 | 5 | 7 | 20 | 34:70 | 22 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრაიტონი-რედინგი ..................... 0:1
პორთსმუთი-მილუოლი ................ 0:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ესპანიოლი .................... 2:0
სოსიედადი-ბეტისი ...................... 1:1
ბარსელონა-ხეტაფე ..................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 31 | 25 | 4 | 2 | 100:27 | 79 |
| 2.ბარსელონა | 32 | 24 | 6 | 2 | 94:23 | 78 |
| 3.მალაგა | 31 | 15 | 5 | 11 | 47:43 | 50 |
| 4.ვალენსია | 31 | 13 | 10 | 8 | 46:37 | 49 |
| 5.ლევანტე | 31 | 14 | 6 | 11 | 44:41 | 48 |
| 6.ოსასუნა | 32 | 11 | 13 | 8 | 37:52 | 46 |
| 7.ესპანიოლი | 32 | 11 | 9 | 12 | 39:43 | 42 |
| 8.ხეტაფე | 32 | 11 | 9 | 12 | 33:43 | 42 |
| 9.სევილია | 31 | 11 | 9 | 11 | 36:33 | 42 |
| 10.ატლეტიკო | 31 | 11 | 9 | 11 | 42:37 | 42 |
| 11.ბილბაო | 31 | 10 | 11 | 10 | 45:42 | 41 |
| 12.რაიო | 31 | 12 | 4 | 15 | 48:53 | 40 |
| 13.ბეტისი | 32 | 11 | 6 | 15 | 39:45 | 39 |
| 14.სოსიედადი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:48 | 38 |
| 15.მალიორკა | 31 | 9 | 10 | 12 | 32:40 | 37 |
| 16.გრანადა | 31 | 10 | 5 | 16 | 28:46 | 35 |
| 17.ვილიარეალი | 31 | 7 | 11 | 13 | 31:45 | 32 |
| 18.სარაგოსა | 31 | 7 | 7 | 17 | 28:56 | 28 |
| 19.ხიხონი | 31 | 6 | 7 | 18 | 29:58 | 25 |
| 20.რასინგი | 31 | 4 | 13 | 14 | 23:48 | 25 |

### იტალია. სერია ა

კიევო-მილანი ................................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 32 | 20 | 7 | 5 | 62:26 | 67 |
| 2.იუვენტუსი | 31 | 17 | 14 | 0 | 51:17 | 65 |
| 3.ლაციო | 31 | 16 | 6 | 9 | 47:38 | 54 |
| 4.უდინეზე | 31 | 14 | 9 | 8 | 43:29 | 51 |
| 5.ნაპოლი | 31 | 12 | 12 | 7 | 55:38 | 48 |
| 6.რომა | 31 | 14 | 5 | 12 | 49:41 | 47 |
| 7.ინტერი | 31 | 13 | 6 | 12 | 45:44 | 45 |
| 8.კატანია | 31 | 10 | 13 | 8 | 41:41 | 43 |
| 9.კიევო | 32 | 11 | 9 | 12 | 30:40 | 42 |
| 10.სიენა | 31 | 10 | 9 | 12 | 36:32 | 39 |
| 11.პალერმო | 31 | 11 | 6 | 14 | 44:49 | 39 |
| 12.კალიარი | 31 | 9 | 11 | 11 | 33:38 | 38 |
| 13.ატალანტა | 31 | 10 | 13 | 8 | 34:33 | 37 |
| 14.ბოლონია | 31 | 9 | 10 | 12 | 32:38 | 37 |
| 15.ფიორენტინა | 31 | 9 | 9 | 13 | 32:38 | 36 |
| 16.პარმა | 31 | 8 | 11 | 12 | 39:50 | 35 |
| 17.ჯენოა | 31 | 9 | 8 | 14 | 42:57 | 35 |
| 18.ლეჩე | 31 | 7 | 10 | 14 | 35:47 | 31 |
| 19.ნოვარა | 31 | 5 | 10 | 16 | 27:52 | 25 |
| 20.ჩეზენა | 31 | 4 | 8 | 19 | 18:47 | 20 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

აუგსბურგი-შტუტგარტი ............ 1:3
ვერდერი-გლადბახი .................. 2:2
ჰერტა-ფრაიბურგი ..................... 1:2
მაინცი-კიოლნი ........................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 29 | 20 | 6 | 3 | 66:22 | 66 |
| 2.ბაიერნი | 29 | 20 | 3 | 6 | 69:19 | 63 |
| 3.შალკე | 29 | 18 | 3 | 8 | 64:35 | 57 |
| 4.გლადბახი | 30 | 15 | 8 | 7 | 43:22 | 53 |
| 5.შტუტგარტი | 30 | 13 | 7 | 10 | 55:40 | 46 |
| 6.ლევერკუზენი | 29 | 11 | 8 | 10 | 40:39 | 41 |
| 7.ვერდერი | 30 | 11 | 9 | 10 | 44:46 | 42 |
| 8.ჰანოვერი | 29 | 10 | 11 | 8 | 37:42 | 41 |
| 9.ვოლფსბურგი | 29 | 12 | 4 | 13 | 41:52 | 40 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 29 | 9 | 10 | 10 | 34:40 | 37 |
| 11.მაინცი | 30 | 9 | 9 | 12 | 47:48 | 36 |
| 12.ნიურნბერგი | 29 | 9 | 5 | 15 | 27:41 | 32 |
| 13.ფრაიბურგი | 30 | 9 | 8 | 13 | 41:56 | 35 |
| 14.ჰამბურგი | 29 | 7 | 10 | 12 | 33:51 | 31 |
| 15.აუგსბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 32:47 | 30 |
| 16.კიოლნი | 30 | 8 | 5 | 17 | 36:63 | 29 |
| 17.ჰერტა | 30 | 6 | 9 | 15 | 31:54 | 27 |
| 18.კაიზერი | 29 | 3 | 11 | 15 | 18:41 | 20 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-ფიურტი ............... 0:0
ზანკტ პაული-უნიონი ................. 2:1
ფორტუნა-ფრანკფურტი .............. 1:0
კოტბუსი-ჰანზა ......................... 0:1

### საფრანგეთი. თასი

გაზელეკი-ლიონი ...................... 0:4

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ექსელსიორი-ნაიმეგენი ............... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 28 | 17 | 7 | 4 | 76:33 | 58 |
| 2.ალკმაარი | 28 | 17 | 6 | 5 | 56:27 | 57 |
| 3.ტვენტე | 28 | 15 | 7 | 5 | 71:32 | 55 |
| 4.პსვ | 28 | 16 | 6 | 6 | 70:40 | 54 |
| 5.ფეინოორდი | 28 | 16 | 6 | 6 | 57:33 | 54 |
| 6.ჰერენვენი | 28 | 15 | 9 | 4 | 64:43 | 54 |
| 7.ვიტესი | 28 | 12 | 6 | 10 | 37:34 | 42 |
| 8.ნაიმეგენი | 29 | 12 | 4 | 13 | 35:36 | 40 |
| 9.ვალვაიკი | 28 | 11 | 4 | 13 | 29:39 | 37 |
| 10.როდა | 28 | 12 | 1 | 15 | 47:59 | 37 |
| 11.გრონინგენი | 28 | 10 | 5 | 13 | 39:52 | 35 |
| 12.ერაკლესი | 28 | 9 | 6 | 13 | 42:48 | 33 |
| 13.უტრეხტი | 28 | 8 | 9 | 11 | 43:47 | 33 |
| 14.ბრედა | 28 | 8 | 6 | 14 | 35:43 | 30 |
| 15.დენ ჰააგი | 28 | 7 | 8 | 13 | 30:52 | 29 |
| 16.ვენლო | 28 | 7 | 4 | 17 | 32:64 | 25 |
| 17.ექსელსიორი | 29 | 4 | 6 | 19 | 23:64 | 18 |
| 18.გრააფსხაპი | 28 | 4 | 4 | 20 | 22:62 | 16 |

### ავსტრია. თასი

გროდიგი-რიდი ........................... 2:3

### თურქეთი. თასი

ერჩიესი-ანთალია ....................... 3:0

### პოლონეთი. თასი

ვისლა-რუხი ................................. 3:1

### შვედეთი. ალსვენსკა

ატვიდაბერგი-გეფლე ................. 6:1

### ნორვეგია. ტიპელიგა

ვალერენგა-ვიკინგი .................... 1:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ვაშინგტონი-ორლანდო ........... 93:85
კლივლენდი-შარლოტი .......... 103:90
მაიამი-ბოსტონი .................... 107:115
ნიუ ჯერსი-ფილადელფია ...... 88:107
დალასი-საკრამენტო ............ 110:100
ჩიკაგო-ნიუ იორკი ................... 98:86

## ჩოგბურთი

### ვტა. ბარსელონა. თიხა

სუარეს ნავარო-ბონა ............. 6:3;6:1
ბრატჩიკოვა-კანდელა ............ 2:6;5:7
გერგესი-რეზაი ....................... 6:4;6:0
ზაჰლავოვა-პოუს ტიო ........... 1:6;2:6
სკიავონე-გოვორცოვა ........... 4:6;3:6
დომინგეს ლინო-ესპინოზა ..... 6:1;6:2

### ვტა. კოპენჰაგენი. ჰარდი

კანეპი-როდიონოვა!ან. ........... 6:3;6:4
ვოზნიაცკი-რადვანსკა უ. ...... 7:6;6:2
პერვაკი-კონტა ....................... 3:6;0:6
კერბერი-გაკონი ............... 4:6;6:2;7:5
ჩაკვეტაძე-პარმენტიე ............ 5:7;1:6
არვიდსონი-აჰლაიტნერი . 5:7;7:5;1:6

# გიგო გაბაშვილის ფოტოგრაფია ალბომად აიკინძა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მიხედვით მოხდა, რომელიც 1893-1936 წლებს მოიცავს. კატალოგისთვის თემატურად შეირჩა ის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომელსაც გიგო გაბაშვილი სავარაუდოდ ამ ფოტოებიდან ქმნიდა, — განაცხადა ალბომის პრეზენტაციაზე ნიკოლოზ რურუამ.

ალბომში გამოყენებული მხატვრის ფოტოები და ფერწერული ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. არტ-გამოცემაზე „გიგო გაბაშვილი" იმუშავა სარედაქციო ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით — პროექტისა და იდეის ავტორი, „პრაიმ-ტაიმის" ჟურნალისტი მარიტა დამენია, მკვლევარი და ბიოგრაფიული ტექსტის ავტორი გიორგი სარაჯიშვილი, ბიოგრაფიული ტექსტის თანაავტორი მარიტა დამენია, დიზაინერი მანანა არაბული, რეცენზიის ავტორი ხელოვნებათმცოდნე მაია ციციშვილი, მთავარი კურატორი ელენე აბაშიძე, ფოტოგრაფი ანა ნიჟარაძე, ლეილა ბლაგონრავოვა, პრეს-პრესი ალეკო კახნიაშვილი, სტილისტ-კორექტორი ირმა ჯოხაძე, ინგლისური თარგმანის ავტორი ვიქტორია ფილდი, ნატალია ბუკია, ფიჯეი ჰილარი.

— ეს კატალოგი გაზეთ „პრაიმ ტაიმის" პროექტის „გიგო გაბაშვილი — ფოტოგრაფი" ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით სტამბოლში ერთ-ერთ სტამბაში დაიბეჭდა. „გიგო გაბაშვილი — ფოტოგრაფი" პროექტს საფუძველი ჩაეყარა გაზეთ „პრაიმ ტაიმის" ჟურნალისტის მარიტა დამენიას და გაზეთის დამფუძნებლის თაკო ფხაკაძის ინიციატივით. ჟურნალისტმა იმ მინის ნეგატივების შესწავლა დაიწყო, რომელზეც მკვლევარ გიორგი სარაჯიშვილის ინფორმაციით, გიგო გაბაშვილის მიერ სამარყანდასა და ხევსურეთში გადაღებული თემები უნდა ყოფილიყო, — განმარტა კულტურის მინისტრმა.

არსებული ცნობებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 80 ფოტო ინახებოდა, მაგრამ პროექტზე მუშაობისას 680 აღმოჩნდა, რის საფუძველზეც საზოგადოებამ ფოტოგრაფი გიგო გაბაშვილი გაიცნო.

მხატვარი 1936 წელს გარდაიცვალა. იგი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. ვინაიდან გიგო გაბაშვილს შთამომავლები არ ჰყავს, მისი საფლავი წლების განმავლობაში მიტოვებული იყო და დაკარგულად ითვლებოდა. გასული წლის მარტში კი ვაკის სასაფლაოს ძველ ტერიტორიაზე მისი საფლავი მკვლევარების მიერ აღმოჩენილ იქნა. სახალხო მხატვრის საფლავის ქვა, რომელიც 40-იან წლებში გაკეთდა, დაზიანებულია. მკვლევარებმა ლევან და ზურაბ ურუშაძეებმა განმარტეს, რომ საფლავის ქვა, რომელზეც გაბაშვილის გარდაცვალების წელი, სახელი და გვარი ეწერა, მიწით იყო დაფარული. დროთა განმავლობაში შეიცვალა საფლავთან მისასვლელი გზაც. საფლავის პოვნასთან ერთად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიგო გაბაშვილის ნეშტს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენებდნენ, საჭირო ხარჯებს კი მთლიანად თბილისის მერია დაფარავს.

# დუტას სასამართლოში უჩივლეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სპონსორების მოძიებით ვარ დაკავებული, რომ თელავის თეატრისთვის დაფინანსება მოვიპოვოო. საპირისპიროს ამტკიცებენ თეატრის თანამშრომლები — მათი თქმით, გასულ წელს დუტამ სახელფასო დავალიანების დასაფარად, ბანკიდან ვალი აიღო, რომელიც 20.000 ლარს შეადგენდა. ამის მიუხედავად, დუტას 2010-2011 წლის სახელფასო დავალიანება ისევ დასაფარი აქვს. თეატრის მმართველმა თანამშრომლებს ხელფასები ბანკიდან აღებული სესხით კი დაურიგა, მაგრამ სესხის პროცენტებს თეატრის წევრები ამჟამად სახელფასო სუფსიდიიდან იხდიან.

თელავის თეატრის თანამშრომელთა თქმით, დუტა სხირტლაძე თელავის თეატრიდან წავიდა. როგორც მსახიობები ამბობენ, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ დუტამ განცხადება დაწერა და თანამდებობა დატოვა, თუმცა არსებობს ვერსია, რომ ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამის გასარკვევად, დუტასთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ იგი სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. ვრცელდება ინფორმაციაც, რომ თელავის თეატრის შენობის გაყიდვა უკვე გადაწყვეტილია.

რამდენიმე დღის წინ თელავში იმყოფებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა. ვინაიდან თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრი სახელმწიფოა, კულტურის მინისტრთან შეხვედრა თელავის თეატრის თანამშრომლებმა მოისურვეს. როგორც ნიკოლოზ რურუამ განაცხადა, თელავის თეატრში არსებული მდგომარეობა ნამდვილად საყურადღებოა. მან თელაველ მსახიობებს პირობა მისცა, რომ მათი პრობლემები ერთ თვეში მოგვარდება. საზოგადოებამ კულტურის მინისტრის ამ განცხადებაში ქვეტექსტი წაიკითხა — დუტა სხირტლაძე თელავის თეატრის მმართველის თანამდებობას დატოვებს, თუმცა, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს კულტურის მინისტრი თელავის თეატრთან დაკავშირებით, ეს ზუსტად ერთ თვეში გახდება ცნობილი.

# პუტინი ოსებსა და აფხაზებს აქეზებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***ამ რეგიონში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას მიაღებინეს მონაწილეობა.***

— მაშინაც ღალატი იყო, მაგრამ მაშინ მოსახლეობის რაღაც ნაწილი მაინც მოატყუეს. იმიტომ მოატყუეს, რომ უშუალოდ შეიარაღებული აგრესია არ იყო. ახლა პირდაპირი სამხედრო შემოტევა განხორციელდა, ახლა ვინ მოტყუვდება. ახლა პირდაპირ ხელისუფლების აგენტურული ნაბიჯია, მეტი არაფერი.

***— ამგვარი სხვა შემთხვევაც იყო. მაგალითად, ბადაფშისთვის რომ მიაცემინეს ხმა გალში ქართველებს და ვერავითარი შედეგი ვერ მივიღეთ.***

— რა თქმა უნდა. ეს არის ხელისუფლების მოღალატური პოლიტიკა.

***— ხელისუფლების პოლიტიკა გასაგებია რაც არის, მაგრამ წეროვანში მცხოვრები დევნილი მოსახლეობა, რომელიც გამოდევნილია თავისი სახლ-კარიდან, დამწვარი, გადაბუგული ტერიტორიიდან, რატომ უნდა მიჰყვებოდეს ხელისუფლებას ცხინვალში ვიღაც სეპარატისტის ე.წ. არჩევნებზე?***

— გაჭირვებისა და ზეწოლის გამო. ნაციონალებმა ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობისთვის ადმინისტრაცია რომ შექმნეს, ოსები ჩაუყენეს სათავეში. სხვათა შორის, მე ვუყურებ ხოლმე „ევრონიუსს" და ცხინვალის ე.წ. არჩევნები, უსაზიზღრესად იყო გაშუქებული.

***— როგორ?***

— „ევრონიუსზე" ითქვა, რომ „სამხრეთ ოსეთში" ჩატარდა არჩევნები. იყვნენ ესა და ეს კანდიდატები. გაიმარჯვა ამან და ამან. და ბოლოს ერთი ფრაზა: საქართველოს ხელისუფლება თვლის, რომ ეს არჩევნები უკანონოა იმიტომ, რომ ის ტერიტორია არის საქართველოსი. „სამხრეთ ოსეთი" აღიარებული ჰყავს ამას და ამას. არც ერთი სიტყვით არ იყო ნათქვამი,. რომ ეს არჩევნები ჩატარდა მაშინ, როცა ამ მოსახლეობის ერთადერთი ავტოქტონური ანუ მკვიდრი ნაწილი, ანუ მკვიდრი მოსახლეობა არის განდევნილი ამ ტერიტორიიდან.

***— მნიშვნელოვანია, თუ თუნდაც იმ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდეს ჩვენი მოსახლეობა. ამ შემთხვევაში, ვთქვათ, ქართველები. დღეს ახალგორის რაიონში შემორჩენილია ქართველების რაღაც ნაწილი, ვინც არ დატოვა იქაურობა და არ წამოვიდა (ცხინვალის რეგიონიდან ისედაც ბევრი დევნილი გვყავს, 150 სოფელი წაგვართვეს და ქართველებისაგან იქაურობა პირწმინდად გაასუფთავეს. იმ პირობებში იქ თუ ვინმე დარჩება, მადლობა უნდა ვუთხრათ). ახალგორელები ჩივიან, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ აიძულებს იქაურობა დატოვონ, რადგან, მაგალითად, სკოლის მასწავლებლებს ხელფასების გადახდა შეუწყვიტა, ხოლო პენსიონერებს — პენსიის გაცემა. როგორ ფიქრობთ, ეს სწორი პოლიტიკაა?***

— ეს არის პირდაპირი სახელმწიფო ღალატი. სხვათა შორის, აფხაზეთში, გალშიც ასე მოიქცა ხელისუფლება. სხვა რომ არაფერი იყოს, მხოლოდ ეს კმარა იმის საილუსტრაციოდ, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა არის რუსეთის აგენტურა.

***— ძალიან ხშირად ხმოვანდება, რომ ხელისუფლება აიძულებს ახალგორელებს, არ დაბრუნდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და გამოვიდნენ იქიდან.***

— ეს არის ოსური ინტერესების განხორციელება, რომ იქაურობა დაიცალოს ქართული მოსახლეობისაგან და ადგილი დაიკავოს სხვა მოსახლეობამ.

***— თუ ვინმეს შეუძლია იქ გაჩერდეს და გაუძლოს იმ პირობებს, რომელიც შექმნილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ხელი არ უნდა შეუწყო? როგორ შეიძლება უთხრა, წამოდიო?***

— ეს არის პირდაპირი ღალატი. თუმცა, კიდევ დიდი ღალატი იგეგმება. უნდათ ამ მოღალატე ხელისუფლებას შეუქმნან რაღაც საბაბი, რომ რაღაცნაირად დეზავიურება მოახდინოს 1921 წლის კონსტიტუციისა. ამაზე მუშაობენ. ეს კონსტიტუცია ჩვენი გათავისუფლების პროცესში გამოყენებელი არ იქნა. ვინც დაანგრია საბჭოთა კავშირი, ანუ დასავლურმა დემოკრატიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, თავისი ამ ჭეშმარიტად ისტორიულმასშტაბიანი, დიდი ჰუმანისტური ოპერაციის იურიდიულ ფორმად საბჭოთა კანონებზე მიყოლა აერჩია. საბჭოთა კავშირის დაშლა განხორციელდა საბჭოთა კავშირში მოქმედი კანონების მიხედვით, ანუ არჩეული იქნა პარლამენტები, როგორც კანონში ეწერა და პარლამენტებმა გამოიყენეს საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გამოსვლის უფლება. ეს ფორმა აირჩია დასავლეთმა. ეს ყველაზე უფრო პრაქტიკულად მისაღები ფორმა იყო. 1921 წლის კონსტიტუცია ხელუხლებელი დარჩა, მაგრამ ის კონსტიტუცია ჩვენთვის მუშაობს. მშვენიერი ტექსტი, მშვენიერი კონსტიტუციაა. მაგალითად, როდესაც „ევრონიუსი" ტყუილს ეუბნება მსოფლიოს, რომ აფხაზეთი შემოვიდა საქართველოში 1925 წელს, ჩვენ გვაქვს საბუთი და შეგვიძლია ვუთხრათ, აგერ არის 1921 წლის კონსტიტუცია და ნახეთ, სოხუმის ოლქი იქ არის, როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსი. უნდათ, სააკაშვილს და მის ბანდას მისცენ საბაბი, როგორღაც, რაღაც ფორმით, იურიდიულად ხელყოს ეს კონსტიტუცია.

***— მერედა, ამის გაკეთება როგორ შეიძლება?***

— ამაზე მუშაობენ და ქართველებს აყვირებენ.

***— ვის აყვირებენ?***

— ქართველებს ალაპარაკებენ, მაგრამ ამის თქმა არ მინდა. მალე გამოჩნდება.

***— კონსტიტუციის დეზავიურების რა აუცილებლობა შეიქმნა? ამის ინიციატორებს რა უნდათ?***

— უნდათ, საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ სააკაშვილის ბანდის სახით, რაღაც ოფიციალური დოკუმენტი შექმნას, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციას იურიდიულ ძალას დაუკარგავს. ამით გაუქმდება ის ფაქტი, რომ ქართულ კონსტიტუციაში, რომელიც არავის გაუუქმებია, წერია, რომ არავითარი „სამხრეთ ოსეთი" არ არსებობს კავკასიონის სამხრეთით, ხოლო სოხუმის ოლქი არის საქართველოს შემადგენლობაში.




***— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება წავა ამ ნაბიჯზე?***

— ხელისუფლებას თუ შეუქმნეს სათანადო პირობები, ამ ნაბიჯზე წავა. მაგალითად, თუ საქართველოში ფართოდ გაიშალა კამპანია, აღვადგინოთ 1921 წლის კონსტიტუციაო, მაშინ თურქეთი განაცხადებს, აი, საქართველოში საზოგადოება მოითხოვს იმ კონსტიტუციის აღდგენას, რომელიც ჩვენს ტერიტორიებს საქართველოს ტერიტორიებად მიიჩნევსო. თურქეთს ამის თქმის ვითომ საერთაშორისო-პოლიტიკური საბაბი მიეცემა, რომ ამ კონსტიტუციის წინააღმდეგ რაღაც იურიდიული დოკუმენტი მიიღონ.

***— ბატონო ნოდარ, ეს კონსტიტუცია 1992 წელს ხომ აღადგინეს?***

— 1992 წელს სულელების რაღაც ჯგუფი შეიკრიბა და თითქოს აღადგინეს. სინამდვილეში არაფერი აღუდგენიათ. დღევანდელ კონსტიტუციაში წერია, რომ ეს კონსტიტუცია შედგენილია 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპების გათვალისწინებით. ეს სწორი და კარგი ფორმულირებაა.

***— ე.ი. ამზადებენ რაღაც საფუძველს, რომ სააკაშვილმა ეს გააკეთოს?***

— რა თქმა უნდა. ეს არის პირდაპირ რუსული შეთქმულება.

***— ისევ ცხინვალის საკითხს რომ დავუბრუნდეთ — სეპარატისტების განცხადება იყო, რომ თუ რაიმე პროვოკაცია იქნება, ისინი მზად არიან ყველაფრისთვის. როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდათ ასეთი განცხადება?***

— ახლა პუტინი მუშაობს თავის ავტორიტეტზე რუსეთში და ამხნევებს თავის ხელქვეითებს ოსებისა და აფხაზების სახით. ეს არის, მეტი არაფერი.

***— ე.ი. ცხინვალში ვინ მოვა ე.წ. ლიდერად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს?***

— დიახ, ცხინვალში ვის დასვამენ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

## მადლობა

**შპს სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა ჰოსპიტლის თანამშრომლებს ტარიელ ნამორაძეს, მაია წაქაძე-საყვარელიძეს, მაკა ვაწაძეს, ლალი ბარათაშვილს, ლელა დვალაძეს, ელისო შეროზიას, ბადრი კეკენაძეს, ლალი შეროზიას.**

**მადლობა მკურნალ ექიმს ანჟელა უგრეხელიძეს ვეტერანების მზრუნველობისთვის, გულთბილი მოპყრობისათვის. იხარეთ თქვენი ოჯახებით.**

**ექთნები — ნელი ქარუმიძე დაუღალავი დედასავით ზრუნავდა ჩვენზე, ირმა მორგოშია, ლია ზამბახიძე, ფიქრია ვეშაპიძე, მანანა ქორიძე...**

**ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.**

***ვეტერანი ნელი ჭელიძე***



h3xცpx3ლბ ,

**შვეულად:** 1. მარწყვის ერთ-ერთი სახეობა; 2. სასუნთქი თამბაქო; 3. ქალაქი ესპანეთში, სადაც იმართება კოდორის სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 4. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 8. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 9. ჩვილი ბავშვის შვილად აყვანა; 11. ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორი გერმანელი ძმების გვარი; 12. მომღერალთა გუნდის ძველი სახელწოდება; 14. ჯიხვების ჯოგი; 16. მომავალი მოღვაწეობის, მუშაობის გეგმა; 17. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 19. ტროას ბერძნული სახელწოდება; 21. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. შაქრის სუროგატი; 6. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. დიდი შხამიანი ობობა; 10. მადნის ქვიშის გადასაზიდი, თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 13. კვიპროსის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 20. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 22. გერმანული ლუდი; 23. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 24. თურქეთის პრემიერ-მინისტრი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყxვცჰიბ უფვxმღც.ყც,ებ h3xცpx3ლთ,Bჩ გფცე[ც,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტამპერე; 2. სარი; 3. ზაირი; 4. ანიონი; 6. მაყრიონი; 9. ლუხუნი; 13. დრეზინა; 14. მესხეთი; 15. ბუშელი; 17. რურუა; 18. ტრული; 20. კოკი.

**თარაზულად:** 1. ტოსკანა; 5. ლაკმე; 7. თარხანი; 8. მორთული; 10. არაყი; 11. რანჩო; 12. მოხერი; 16. მერანო; 17. რახტი; 19. ერბო; 21. მექისე; 22. ჯუღელი; 23. მიკადო; 24. პიექსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დაგერი; 2. მალბორო; 3. ფოტოლიზი; 4. სტაჟიორი; 8. კურვუაზიე; 9. სინტოიზმი; 11. მუხიანი; 12. დალი; 14. ერგი; 16. პლასტიკა; 17. ფართინგი; 19. ბრიყვი; 21. მოცვი.

**თარაზულად:** 5. ფორსინგი; 6. ელინისტი; 7. ბარსელონა; 10. ფირუზი; 13. ჩინური; 15. ფლაიერი; 18. პლაზმა; 20. იუმორი; 22. პრიმატორი; 23. მკათათვე; 24. კვადრიგა.

# რომის ქუჩებში ჭამა, დალევა და სიმღერა აკრძალეს

რომის ხელისუფლებამ ქალაქის ისტორიულ ნაწილში წესრიგის დასამყარებლად ახალი აკრძალვები შემოიღო. მიმდინარე წლის 30 სექტემბრიდან რომის ისტორიული ნაწილის ქუჩებში ჭამა აიკრძალება. კანონდამრღვევები 25-დან 500-მდე ევროთი დაჯარიმდებიან.

ქალაქში ჭამა მხოლოდ სპეციალურ დაწესებულებებში იქნება შესაძლებელი. ამ აკრძალვით ხელისუფლება ხელს შეუწყობს ქალაქის ქუჩებში, სპეციალურად ტურისტებისთვის გაწერილ მარშუტებზე წესრიგის დამყარებას.



რომის ხელისუფლება ცდილობს შეამციროს იმ ღია კაფეებისა და რესტორნების რაოდენობა, რომლებიც ქალაქის საერთო ხედს ამახინჯებენ.

გარდა ამისა, რომში ცოტა ხნის წინ, ალკოჰოლური სასმელების ქუჩაში მიღებაც აიკრძალა. ასევე ხმაური და სიმღერა რომის ისტორიულ უბნებში. გარდა ამისა, ქალაქის ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომლის თანახმად, ვინც საღეჭ რეზინას ქუჩაში გადააგდებს, 50 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა უწევს.

რომი – იტალიისა და მისი ლაციოს რეგიონის დედაქალაქი; განლაგებულია ტიბრისა და ანიენის მდინარეების გარშემო, ხმელთაშუა ზღვასთან, 41° 54′ ნ, 12° 29′-ე კოორდინატებზე.

ქალაქი ვატიკანი, სუვერენული ანკლავი რომში, რომაული კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის საბრძანებელს წარმოადგენს.

რომი იტალიის უდიდესი ქალაქია და ამავე სახელწოდების „კომუნა“ აგლომერაცია ერთ-ერთი უმსხვილესია ევროპაში 120 კმ² ფართობით (ადვილად დაიტევდა დანარჩენ ცხრა უმსხვილეს იტალიურ ქალაქს: მილანს, ნეაპოლს, ტურინს, პალერმოს, გენუას, ბოლონიას, ფლორენციის, ბარისა და კატალინას და ასევე ოთხ უმსხვილეს ევროპულ ქალაქს, როგორიცაა პარიზი, ბერლინი, სტოკჰოლმი და ბრიუსელი). ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 2.546.807 (2004), აგლომერაციისა – დაახ. 4 მილიონი. რომის ახლანდელი მერია ჯოვანი ალემანო (2008).

რომის ეშპ შეადგენს 75 მილიარდ ევროს (ახალ ზელანდიაზე მეტი და იმდენივე რაც სინგაპურის – თუმცა სამივეს დაახლოებით თანაბარი მოსახლეობა ჰყავს).

2001 წელს რომის მუნიციპალიტეტმა გამოიმუშავა იტალიის მთლიანი ეშპ-ს 6.5%, რაც ყველაზე მაღალია იტალიის ქალაქთა შორის.

# კამჩატკის პორტთან ტვირთმზიდი იძირება

კამჩატკის პორტთან ტვირთმზიდი იძირება. როგორც რუსული მედია წერს, ტვირთმზიდი „ტიხონ სემუშკინი“ კატასტროფას ავაჩანის დასახლებულ პუნქტთან განიცდის. გემი მეპატრონეების დავის გამო აღნიშნულ სოფელთან უკვე სამ წელზე მეტია მიტოვებულია. როგორც ირკვევა, გუშინ ბოროტმოქმედებმა გამაგრილებელი სისტემიდან ტვირთმზიდს სპილენძის სარქველები მოხსნეს, რის გამოც გემზე წყლის გაჟონვა დაიწყო.



არსებული ცნობით, ტვირთმზიდი 80 ტონაზე მეტი მაზუთითაა დატვირთული, რის გამოც არსებობს საშიშროება, რომ ზღვაში საწვავი ჩაიღვაროს. გემზე წყლის ამოტუმბვითი სამუშაოები მიმდინარეობს.

კამჩატკის მხარე – რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, შორეულ აღმოსავლეთის ფედერალური ოკრუგის შემადგენელობაშია.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი.

ესაზღვრება ჩრდილოეთით მაგადანის ოლქს და ჩუკოტკის ავტონომიურ ოკრუგს.

შეიქმნა 2007 წლის 1 ივლისს. შეიქმნა კამჩატკის ოლქისა და კორიაკთა ავტონომიური ოლქის შეერთების შედეგად.

კამჩატკის მხარეს უკავია ნახევარკუნძული კამჩატკა და მისი მიმდებარე კონტინენტის ნაწილი, აგრეთვე კომანდორის კუნძულები და კარაგის კუნძული.

**ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ**

მეუღლე ნანა ურუშაძე, შვილები აკაკი, თამარი, სიძე დავით ტაბატაძე, რძალი მარინა ნადირაშვილი, შვილიშვილები ლაშა, მარიამ ტაბატაძეები, ცისანა კიკნაძე, ძმები რამაზი, სპარტაკი ოჯახებით, ბიძაშვილები და მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ (სოსო) სიმონის ძე კიკნაძე**

პანაშვიდი: 11, 12 აპრილს, 17 საათზე, რჩეულიშვილის ქ.№3.

დაკრძალვა: 14 აპრილს, ხარაგაულში, წერეთლის №1.

დალი, პეტრე, შვილებით – ნანა, შალვა ბერაიები მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის

**რევაზ პატარაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# ჰილარი კლინტონი რუსეთს ადანაშაულებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რუსეთის ფედერაციას ადანაშაულებს იმაში, რომ ბაშარ ასადი კვლავ სირიის პრეზიდენტის პოსტზე რჩება.

უცხოური მედიის ცნობით, როგორც ჰილარი კლინტონმა მერილინდში, სამხედრო-საზღვაო აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რუსეთის უარი, შეერთებოდა მათ კონსტრუქციული გეგმების შემუშავებაში, ბაშარ ასადს ხელისუფლებაში დარჩენის საშუალებას აძლევს, რითაც ეს უკანასკნელი სარგებლობს და იგნორირებას უკეთებს როგორც თავისი ხალხის, ასევე მთელი მსოფლიოს მოთხოვნებს.

როგორც კლინტონმა აღნიშნა, სირია სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშეა და პირობა დადო, რომ უახლოეს პერიოდში თავის რუს კოლეგას, სერგეი ლავროვს შეხვდება და შეეცდება ერთობლივ შეთანხმებას მიაღწიოს, თუნდაც სირიის მოსახლეობის ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფის შესახებ.

რუსეთმა და ჩინეთმა, რომლებიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრები არიან, ორჯერ დაბლოკეს სირიის მიმართ მიღებული რეზოლუცია. ოფიციალური მოსკოვი და პეკინი შიშობენ, რომ ამ რეზოლუციების მიღებით სირიაში ლიბიის სცენარი განმეორდება.

ამ ფონზე, გაეროსა და არაბეთის სახელმწიფოების ლიგის სპეციალური წარმომადგენლის კოფი ანანის განცხადებით, სირიის ხელისუფლებამ დაარწმუნა, რომ დაიცავს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას. ეს განცხადება ანანმა თეირანში ვიზიტისას გააკეთა, სადაც ირანისაგან მხარდაჭერის მოსაპოვებლად ჩავიდა.

სირიის ხელისუფლება პირობას დებს, რომ ცეცხლს ხუთშაბათ დილით შეწყვეტს.

შეგახსენებთ, რომ გაეროს სპეცწარმომადგენელმა კოფი ანანმა სირიის ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა და მათგან ყოველგვარი



წინაპირობის გარეშე ცეცხლის შეწყვეტა 12 აპრილის ადგილობრივი დროის 06:00 საათამდე მოითხოვა. ეს განცხადება კოფი ანანმა თურქეთის პროვინცია ჰატაიში გააკეთა, სადაც სირიელ ლტოლვილთა ბანაკი მოინახულა.

მიუხედავად იმისა, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი კოფი ანანის სამშვიდობო გეგმას დათანხმდა, მას ამ დრომდე არ მიუღია სირიის ოპოზიციის წერილობითი გარანტიები იმის შესახებ, რომ ისინი იარაღს დაყრიან და წინააღმდეგობას შეწყვეტენ. ამავე დროს, სხვადასხვა წყაროდან ვრცელდება ინფორმაცია, რომ სირიის ქალაქებში კვლავ ბრძოლები მიდის.

მას შემდეგ, რაც ბაშარ ასადი ანანის გეგმის შესრულებას დათანხმდა, სირიიდან თურქეთის ტერიტორიაზე გადამსვლელ ლტოლვილთა ნაკადმა მოიმატა.

# პუტინის ინაუგურაციაზე სხვა სახელმწიფოს მეთაურებს არ დაპატიჟებენ

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი სახელმწიფო სათათბიროში სიტყვით გამოვა.

როგორც რუსული მედია წერს, ის დეპუტატების წინაშე მთავრობის საქმიანობის წლიური ანგარიშით წარდგება.

მთავრობის პრესსპიკერ, დიმიტრი პესკოვის განცხადებით, პუტინი რუსეთის ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში არსებულ ვითარებას მიმოიხილავს, ასევე სამომავლო პრიორიტეტებზე ისაუბრებს.

ეს პრემიერ-მინისტრის რანგში სათათბიროში პუტინის ბოლო გამოსვლა იქნება.

ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტის პოსტს ოფიციალურად 7 მაისს დაუბრუნდება. სწორედ ამ დღესაა დაგეგმილი მისი ინაუგურაცია.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ღონისძიებაზე სხვა სახელმწიფოს მეთაურებს არ დაპატიჟებენ. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია კრემლის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ავრცელებს.



– დადგენილი ტრადიციისა და პრაქტიკის თანახმად, უცხო ქვეყნის სახელმწიფოების მეთაურთა მოწვევა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალზე გათვალისწინებული არ არის, – იუწყება კრემლის ადმინისტრაცია.

ამ ფონზე მოსკოვში, სახელმწიფო სათათბიროს შენობის წინ, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, სერგეი უდალცოვი დააკავეს.

რუსული მედიის ინფორმაციით, უდალცოვი თანამოაზრეებთან ერთად სათათბიროს წინ აქციის „თეთრი სათათბიროს“ გამართვას გეგმავდა, თუმცა შენობასთან მისვლისას ის დააკავეს.

ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნებს გაყალბებულად თვლიან, აპირებენ როგორმე პუტინამდე მიიტანონ ხმა, რომ ქვეყანაში ყველაფერი არც ისე კარგადაა, როგორც მას ჰგონია და სურთ დაუსვან კითხვა – როდის ეყოლება რუსეთს ლეგიტიმური ხელისუფლება?

აქცია არ იყო სანქცირებული და სამართალდამცველები მის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდებდნენ.

# ინდონეზიის ჩრდილოეთით 8,9 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

ინდონეზიის ჩრდილოეთ 8,9 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრა კუნძულ სუმატრასთან ახლოს პროვინცია აჩეხში მოხდა. არის ცუნამის წარმოქმნის საშიშროება. გამოცხადებულია განგაში. აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი ოკეანის სიღრმეში – 33 კილომეტრში იყო. წყნარი ოკეანის ცუნამის პროგნოზირების ცენტრმა ხელისუფლებას ურჩია „შესაბამისი ზომები მიიღონ“.

ამ რეგიონში მიწისძვრა ხშირად ხდება, რასაც ცუნამიც ერთვის. 2004 წელს მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად 230.000 ადამიანი დაიღუპა. მესამედი მათგანი პროვინცია აჩეხის მცხოვრები იყო.

ინდონეზია – ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანეთში. მას ხშირად უწოდებენ „ათასი კუნძულის ქვეყანას“. იგი უდიდესი კუნძულოვანი სახელმწიფოა, ამავე დროს აქ ყველაზე მეტი მუსლიმანი ცხოვრობს, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში.

# ბარაქ ობამას მიტ რომნი დაუპირისპირდება

„რესპუბლიკელები“ აშშ-ის პრეზიდენტობის საკუთარ კანდიდატზე უკვე შეჯერდნენ.

როგორც უცხოური მედია წერს, ბარაქ ობამას მეტოქეობას მასაჩუსეტსის ყოფილი გუბერნატორი, მიტ რომნი გაუწევს.



აღნიშნულის შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც პრაიმერის შედეგებით მეორე კანდიდატმა – პენსილვანიის ყოფილმა სენატორმა, რიკ სანტორუმმა განაცხადა, რომ საარჩევნო მარათონს ეთიშება.

– ჩვენ ვწყვეტთ საარჩევნო კამპანიას და აღარ ვაგრძელებთ ბრძოლას. ეს არის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება, – განაცხადა რიკ სანტორუმმა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის პრეზიდენტი ბარაქ ობამა ბოლო ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, „რესპუბლიკელების“ საპრეზიდენტო კანდიდატს მიტ რომნის მხოლოდ 10 %-ით უსწრებს. უცხოური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ საუბარია საფოლკის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებში, რომელიც გასული თვის ბოლოს ჩატარდა.

აღნიშნული მონაცემების თანახმად, ობამას რეიტინგი 47 %-ს შეადგენს, მიტ რომნისა კი 37 %-ს. ამასთან, ბარაქ ობამას მუშაობას პრეზიდენტის პოსტზე 46 % იწონებს, მაშინ როდესაც 45 % აცხადებს, რომ მისი პრეზიდენტობით უკმაყოფილო არიან. მთლიანობაში, ობამას მიმართ დადებითად არის განწყობილი გამოკითხულთა 52 %, რომნის მიმართ კი 38 %.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ „როიტერის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ბარაქ ობამას მხარს გამოკითხულთა 53 % უჭერდა, მიტ რომნის კი 43 %. ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლის 6 ნოემბერს გაიმართება.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*



# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 12 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **14.00** სერ. **"ათი მცნება"** **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** პირველი ტელევიზია **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ.**"მიმინო და მტრედი"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.20** საფარი **01.50** მხ. ფილმი **"ძმა, მზე და მთვარე"** **04.05** მხ. ფილმი **"მღელვარება"** (12) **05.50** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00** დოკ. ფილმი **11.00** ტრანსლაცია პარლამენტიდან **19.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"ღირსების სიტყვა"** **01.00** მხ. ფ. **"საბედისწერო რვიანი"** (გ. პელტროუ)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** **100** გრადუსი (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** საქველმოქმედო მარათონი – ნუ დატოვებ მარტო **00.45** კულინარიული დუელი **01.45** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) **03.45** მხ. ფილმი **"საბედისწერო მოგზაურობა"** (18) (მ. ჯორჯი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ.**"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ.**"ველური ყვავილი"** **22.00** პროფილი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვმარკეტი **12.15** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი (გან.) **16.00** იცხოვრე ფეხბურთით **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.20** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"სიამაყე"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

**08.00** სერ. **"სამხედრო მივლინება 2"** **08.55** სერ. **"კრიმინალური იმპერია"** **09.50** დოკ. ფილმი "გადატანე არ ლიერმისთან ერთად" **10.50** სერ. **"სამხედრო მივლინება 2"** **11.50** სერ. **"კრიმინალური იმპერია"** **12.50** მხ. ფ. **"ომის მახვილი"** **14.40** მხ. ფილმი **"მძევალი"** **17.10** მხ. ფილმი **"დევნა"** **20.05** მხ. ფ. **"შავი ხვრელი"** **22.05** მხ. ფილმი **"დაუმარცხებელი"** **00.25** მხ. ფილმი **"ირმებზე მონადირე"**

**აფხაზეთის ხმა** **08.00** ან.ფ. "სათამაშოების ისტორია" **10.30** მხ.ფ.**"პერკეტი კაკალი 3"** **13.00** მხ.ფ. **"შევი ბედი"** **15.30** მხ.ფ. **"კობრის გადასროლა"** **18.00** მხ.ფ. **"მამა მია!"** **20.00** მხ.ფ. **"ტოპ განი"** **22.00** მხ.ფ.**"ჯონ მალკოვიჩი"** **00.00** მხ.ფ. **"მოლინარი"** **02.30** ეროტიკა **03.00** მხ.ფ. **"დორიან გრელი"** **05.00** მხ.ფ. **"ქრისტინა"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 aprili

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6678
ევრო —2,2122
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518
რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1-5, ღამით — -4 -1
**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-4, ღამით — -3-0
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2

ამინდის პროგნოზი 12 აპრილისთვის




# დუტას სასამართლოში უჩივლეს

ეკა ირემაშვილი

მსახიობსა და შოუმენ დუტა სხირტლაძეს თელავის თეატრის თანამშრომლებმა სასამართლოში უჩივლეს. სარჩელის სასამართლოში შეტანის მიზეზი სახელფასო დავალიანება გახდა.

მიხეილ გოგინაშვილისა და გია ზარაფიშვილის სარჩელის განხილვა თელავის სასამართლოში დაიწყო. საქმეს მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილი განიხილავს. როგორც თეატრის თანამშრომლები აცხადებენ, ორივეს ერთად 5 000 ლარი აქვთ ასაღები, აქედან მიხეილ გოგინაშვილს 2.000 ლარი ერგება, ხოლო გია ზარაფიშვილს – 3.000 ლარი.



– ჩვენ დუტას რამდენჯერმე ვთხოვეთ, რომ ხელფასები მოეცა, მაგრამ უშედეგოდ, ამიტომაც სხვა გზა არ დაგვრჩა და სასამართლოს მივმართეთ, – აცხადებენ თელავის თეატრის თანამშრომლები.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თელავის თეატრის მმართველ დუტა სხირტლაძეს თანამშრომლებმა სასამართლოში უჩივლეს და კუთვნილი ხელფასის მიღება მოითხოვეს. გასულ წელს სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით დუტას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი თეატრის კაპელდინერებმაც შეიტანეს. მოსამართლემ კაპელდინერების სარჩელი დააკმაყოფილა და თეატრის ხელმძღვანელს სახელფასო დავალიანების სრულად გადახდა დააკისრა, რაც 2.604 ლარს შეადგენდა. კაპელდინერებამდე კი სასამართლოს თელავის თეატრის დაცვის სამსახურის ყოფილმა წევრებმაც მიმართეს. სასამართლომ მათი სარჩელიც დააკმაყოფილა და თეატრს დავალიანების დაფარვა დააკისრა, რაც 2.000 ლარს შეადგენდა.

როგორც თელავის თეატრის თანამშრომლები აცხადებენ, ამჟამად მათთან აუტანელი პირობებია, თეატრი პარალიზებულია და უკვე რამდენიმე თვეა, თელავის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლი არ დადგმულა. მსახიობები არ მალავენ, რომ მას შემდეგ, რაც თეატრის მმართველად დუტა მივიდა, თეატრი ჩაკვდა და ჩალპა. თეატრის მმართველის უყურადღებობის და გულგრილობის წყალობით, თეატრში არ არის წყალი, გათბობა, ბუნებრივი აირი, ტელეფონი და ინტერნეტი.

თელავის თეატრის მმართველ დუტა სხირტლაძესა და თეატრის თანამშრომლებს შორის დაპირისპირება უკვე წლებია გრძელდება. მსახიობები არ მალავენ, რომ 2011 წლის 22 მარტს, თეატრის დასის შეკრებაზე, თეატრის მმართველის დუტა სხირტლაძის გინების შემდეგ, მსახიობი ავთანდილ გულიაშვილი, რომელიც ავად იყო, დარბაზში გარდაიცვალა, თეატრის რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე და მსახიობი ვანო იანტბელიძე კი ავად გახდნენ. ჩაკვეტაძეს სამედიცინო დახმარება თელავის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოუჩინეს. დუტა სხირტლაძე მასთან დაპირისპირების გამო თეატრის მთავარ რეჟისორს გოგი ჩაკვეტაძეს გათავისუფლებითაც დაემუქრა, მისი დადგმული სპექტაკლები არ მომწონს, არაფერი ღირებული მათში არ არისო, იმუქრებოდა კიდეც, ჩემს გადაწყვეტილებას სისრულეში აუცილებლად მოვიყვანო, თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრა და გოგი ჩაკვეტაძის გათავისუფლების შესახებ გაკეთებული განცხადებას ემოციურობით ნათქვამი უწოდა.

როგორც თეატრის წევრები აცხადებენ, მათი მმართველი კარგა ხანია თელავში არ უნახავთ. თავის დროზე დუტამ თბილისში თავისი ყოფნა იმით ახსნა, რომ აქ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ვიქტორ სანეევი ლონდონის მეტროში

**ლონდონის ტრანსპორტის სამმართველომ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებამდე ქალაქის მეტროს რუკა წარმოადგინა, სადაც თითოეული სადგური აღნიშნულია ლეგენდარული სპორტსმენების სახელებით, ხოლო ხაზები აღნიშნულია გარკვეული ოლიმპიური დისციპლინებით.**

ქართული სპორტის გულშემატკივართათვის სასიამოვნო სიახლე ისაა, რომ ერთ-ერთ სადგურს სიგრძეზე ხტომაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და საქართველოს მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტსმენის ვიქტორ სანეევის სახელი ამშვენებს, ის შინდისფრად მონიშნულ ხაზზეა დატანილი, რომელიც თავის მხრივ მძლეოსნობისთვის განკუთვნილი არენებისკენ მიუყვება.



პროექტ „ოლიმპიური ლეგენდების“ მიხედვით, ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის ლონდონის 361 მეტროსადგურს უდიდეს სპორტსმენთა სახელები დაამშვენებს. ასე, მაგალითად, ყველა დროის საუკეთესო ოლიმპიელის, ამერიკელი მოცურავის მაიკლ ფელპსის სახელი, რომლის საჩემპიონო ყუალაბაშიც 14 ოლიმპიური ოქროს მედალია, თამაშების მთავარ სადგურს – სტრატფორდს დაერქვა. აქვეა ამერიკელი მოკრივის, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის კასიუს კლეის, მოგვიანებით კი მუჰამედ ალის პატივსაცემად გადანათლული სადგურიც.

რუკის შემქმნელების განმარტებით, ყველა დროის უდიდეს ოლიმპიელთა შორის 361 სპორტსმენის სახელის შერჩევა იოლი არ ყოფილა.

– ჩვენ გვიყვარს სპორტი, გვიყვარს აქ წარმოდგენილი სპორტსმენები და გვიყვარს ლონდონი. ასე რომ, რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი გამოწვევა, როდესაც მსოფლიოს უდიდეს სპორტსმენთა შორის აკეთებ არჩევანს. იყო ცხარე კამათიც, ვინ უნდა მოხვედრილიყო რჩეულთა ნუსხაში, იყო რამდენიმე ცვლილებაც. როგორც არ უნდა იყოს, შედეგით ყველა კმაყოფილი ვართ: გავითვალისწინეთ ათეულობით ქვეყნის ინტერესი და 2012 წლის თამაშების პროგრამაში შეტანილი დისციპლინები. რჩეულთა შორის არიან ალი და ფელპსი – ყველა დროის ორი უდიდესი ოლიმპიელი, რომლებიც სტრატფორდის გზაგამყოფიდან გაგვიძღვებიან თამაშებისკენ. მართალია, რიგ საკითხებზე სხვადასხვა მოსაზრებები იყო, მაგრამ მიღწეულით მაინც კმაყოფილები ვართ, – ვითარებაში გვარკვევენ „ლეგენდების რუკის“ დიზაინერები, სპორტული ჟურნალისტი ალექს ტრიკეტი და სპორტის ისტორიკოსი, ჟურნალისტი და წიგნის – „ყველა დროის მსოფლიო თასის“ ავტორი დევიდ ბრუქსი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

28 მარტიდან

ექსკლუზივი

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 22-ე ტომი

ფბყინფბყბ

3!)) ობუყიბ4 იცლბც
ბვ ფლფვბფყსფ ,ბჯუჰფაბც,ბ7
ჰჯვცჯსფნ ლბლბ hლფჯბ
ლფნჯლცც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნბhფიბ7 ვცნყბცჰც,ფცფ
ლფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ობუყბ ტპსფლ
* კფპბ




## .ღცჯფვ უფბსღფჯბცობყცს=

fcnhjghjuyjpb
!@ ფგჰბჯბცსღბც

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არაფრის შეცვლა არ გსურთ, ამ ეტაპზე ასე აჯობებს. **ტყუპები** — საქმე კარგად წაგივათ, ეს მოსალოდნელი იყო. **კირჩხიბი** — თქვენი პარტნიორი თქვენგან მეტ ყურადღებას ელის, იფიქრეთ ამაზე. **ლომი** — თავს მიხედეთ, გადაღლილი ხართ. **ქალწული** — შორი გზიდან ვილაც ჩამოდის, გახარებული ხართ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, სუფთა ჰაერი ჩაყლაპეთ. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, საქმესაც ბოლომდე მიიყვანთ. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ და გაერთეთ, თქვენ ეს გჭირდებათ. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, კარგად ხართ. **თევზები** — დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, მთავარია მოინდომოთ.

უბცეჰღჯ,ს ,ჯცყბჯჰ ცქჯც=

## hჰჯცღჯჰცბ ფ

**შვეულად:** 1. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 2. აფრიკული შხამიანი ბუზი; 38 ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ნიშა კედელში, სადაც საწოლია გამართული; 6. სპორტის სათამაშო სახეობა; 9. უწყინარი ხასიათის მსუბუქი დაცინვა; 13. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 14. საღამოს სადილი; 15. გურულების, აჭარლების, მესხების ძველებური მოკლე ჩოხა; 17. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 18. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 20. რბილი-საჯდომიანი ტაბურეტი.

**თარაზულად:** 1. შინაური კურდღელი; 5. სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ზღვის დაბალი, თხელწყლიანი ნაპირი; 7. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 8. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 10. ძვირფასი სარეწაო თევზი; 11. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 12. ამერიკული სიგარეტი; 16. მთა თბილისში; 17. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 19. ძვირფასი ლითონი; 21. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 22. შინაურ ცხოველთა კისერზე შებმული ჟღარუნა; 23. ფირმის, წარმოების ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა; 24. დაქირავებული მკვლელობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

